



გურამ თავართელიაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
ფაკულტეტი

სპეციალობა: საბანკო საქმე

სამაგისტრო ნაშრომი

დილინგი და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის
ოპერაციები საერთაშორისო ბაზარზე

სტუდენტი: ლევან მადურაშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი ნ. ბაგრატიონი

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი-----	5
1. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა არსი -----	8
1.1.საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა ზემოქმედება ქვეყნის სავალუტო პოლიტიკაზე -----	8
1.2.საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა არსი-----	10
1.3.საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ბაზრები და ორგანიზაციები-----	22
1.4.სავალუტო პოლიტიკის სტრატეგიის მიმართულებანი-----	30
2.სავალუტო ბაზარი და მისი სტრუქტურა -----	34
3. სავალუტო დილინგი-----	40
3.1.სავალუტო ვაჭრობის საფუძვლები-----	40
3.2.უცხოური ვალუტით ბანკთაშორისი ვაჭრობა -----	45
3.3.კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების სახეობები-----	48
4.სავალუტო რისკების მართვა-----	59
დასკვნა-----	67
გამოყენებული ლიტერატურა-----	69

ანოტაცია

სავალუტო აუქციონი წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. სავალუტო აუქციონის მიზარია საერთაშორისო რეგერვების შევსება, კაპიტალის დროებითი ჭარბი შემოდინების გაცვლით კურსზე ზეგავლენის აღმოფხვრა და/ან ჯერძო და სახელმწიფო საგარეო სალდოს დაბალანსება

თანამედროვე ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი ძირითადად ელექტრონული სავაჭრო სისტემების სახითაა ორგანიზებული, რომლებიც გაცვლითი ოპერაციების დროის რეალურ რეჟიმში უწყვეტად განხორციელების საშუალებას იძლევა.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ისეთებში, როგორც საქართველოა, ადრეულ ეტაპზე არსებობდა ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟები, თუმცა საბანკო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებამ ამ ინსტიტუტების გაუქმება გამოიწვია.

გაცვლითი კურსი უმთავრესად მოთხოვნისა და მიწოდების თანათარდობის საფუძველზე ყალიბდება, ხოლო ცენტრალური ბანკი იშვიათად ახორციელებს ინტერვენციების ზემოქმედების განეტრალეების მიზნით. სწორედ ასეთი რეჟიმი მოქმედებს დღეისათვის საქართველოში.

ANNOTATION

შესავალი

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს უცხოურ ვალუტათა ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარ სისტემას. იგი საერთაშორისო ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილია, სადაც წარმოებს სავალუტო კურსის განსაზღვრა. სავალუტო ბაზარი ეს არის ოფიციალური ცენტრი, რომელშიც თავმოყრილია ვალუტათა ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ამასთან იგი არის უცხოური ვალუტების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა.

სავალუტო ბაზარი არის უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახადო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა.

მსოფლიო სავალუტო ბაზარი მიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპოდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშწორების განხორციელების მექანიზმს.

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს არასაბირჟო ობიექტს, რომელიც მთელი დღედაღამის განმავლობაში ფუნქციონირებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან, არსებობს წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტები-დერივატივები, რომლითაც ბირჟაზე ვაჭრობენ.

როგორც წესი, სავალუტო ბაზარი მრავალ წახნაგოვანი მაჩვენებელთა ჯამია. რომელიც მოიცავს განსაზღვრულ რეგიონებს და საერთაშორისო ვაჭრობას და სავალუტოსათვის განსაკუთრებით ლოკალიზებულ მნიშვნელოვანი რაოდენობის ცალკეულ ბაზრებს და მათთან ორგანულ კავშირში არსებულ ინფრასტრუქტურას.

ასეთ ბაზრებზე ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური ანგარიშწორების, ტურიზმის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიგრაციის და სხვა მიმდინარე ოპერაციათა ფართო სპექტრი. რომლებშიც გათვალისწინებულია მყიდველების, გამყიდველების, შუამავლების, საკრედიტო და სხვა კომპანიებისა და ფირმების მიერ უცხოური ვალუტათა გამოყენება.

საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის განვითარება ჩქარი ტემპებით წარიმართა შიდა სავალუტო აგენტებად საქართველოში უნდა განვიხილოთ ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები.

იმის გამო, რომ საქართველოში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში არ მონაწილეობენ სპეციალიზირებული საბანკო დაწესებულებები, როგორც ეს ფართოდ გავრცელებულია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ქვეყნის შიდა

სავალუტო ბაზარი სტრუქტურული პოზიციებიდან უნდა ჩაითვალოს ნაკლებად დივერსიფიცირებულ ბაზრად.

საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის წყობის ერთერთი არსებითი თავისებურებაა ეროვნული ბანკის, როგორც სავალუტო ბაზრის აგენტის აქტიური როლი, თუ განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში რეგულარულად არ ერევა. საქართველოში და საერთოდ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე.

გარკვეული პერიოდი მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკი შიდა სავალუტო ბაზარზე უმსხვილეს მიმწოდებლებს წაემოადგენდა იმის გამო, რომ ბაზარი უკიდურესად დაბალი ლიკვიდურობით ხასიათდებოდა, ბაზრის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა მთლიანად ეროვნულ ბანკს დააწვა, რამაც იგი თაქტობრივად ბაზრის შემქმნელად გადააქცია. დღეს ეროვნული ბანკი არ აწარმოებს უცხოური ვალუტით საბაზრო ინტერვენციებს. ეს ფუნქციები გადავიდა კომერციულ ბანკებში, მაგრამ უცხოური ვალუტის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში მყიდველის როლში კვლავ ეროვნული ბანკი გამოდის. რაც შეეხება შიდა სავალუტო ბაზრის ლიკვიდურობას, იგი მაინც დაბალია. სწორედ ეროვნული ბანკი ინარჩუნებს ბაზრის ლიკვიდურობის გარანტიის როლს.

საყურადღებოა, რომ ქვეყნის ეროვნულ ბანკთან ერთად, კომერციული ბანკები ქმნიან საქართველოში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ფუნდამენტს. რომელიც შიდა სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი საფემენტია და რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს: საბირჟო და სადილინგო ბაზრებს.

საბირჟო ბაზარი სხვა არაფერია თუ არა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო მოედანზე დადებული გარიგებები.

სადილინგო ბაზარი წარმოადგენს ბირჟის გარეშე, პირდაპირ კომერციულ ბანკებს შორის განხორციელებულ ბანკებს შორის მიმდინარე საკონვერსიო ოპერაციებს.

ეროვნული ვალუტის კურსი მართვისათვის საჭიროა ჯერ შესწავლილი იქნას ამ ქვეყნის ეროვნულ მომხმარებელთა სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები. ამ ფუნქციების ოპტიმალური შერჩევა სავალუტო რეჟიმის განსაზღვრის ერთერთი უმთავრესი საწინდარია. ეროვნული კეთილდღეობის პრობლემების შესწავლა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ ეტაპზე: ა) არსებული სავალუტო პოლიტიკის ვარიანტებიდან სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ერთ-ერთი; ბ) ამ ვარიანტების განხილვის შემდეგ შესწავლილი უნდა იქნას სავალუტო ბაზრის მექანიზმი ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსის პირობებში; გ) დადგინდეს, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანამ ეროვნულ ვალუტაზე არსებული მოთხოვნილება; მეორე ეტაპზე: განიხილება არგუმენტები ცვალებადი სავალუტო კურსის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

ამასთან, სავალუტო პოლიტიკის 9სტრატეგიის0 ვარიანტების რიცხვი მრავალია, რომლებიც გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყანის პრაქტიკაში და ზოგიერთ მათგანში სავალუტო კურსის რეჟიმის არასწორმა შერჩევამ გამოიწვია ეკონომიკის კრიზისული სიტუაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალუტო პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრის სწორი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას

1. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა არსი

1.1.საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა

ზემოქმედება ქვეყნის სავალუტო პოლიტიკაზე

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის სავალუტო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ფულადი სახსრების,

უცხოური ვალუტის, კრედიტების, ინვესტიციებისა და სხვა ფინანსური აქტივებისა ლიკვიდურ ვალდებულებათა დენალობის გზით. მართალია ლიკვიდური ვალდებულებების ზრდა უმრავლეს შემთხვევაში არის საგარეო ვაჭრობის, მომსახურების, კერძო დაკრედიტების, დეფიციტის შედეგი, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არაა. ლიკვიდური ვალდებულებების ზრდა შეიძლება იყოს საგარეო ვაჭრობის, მომსახურების, კერძო დაკრედიტების, დეფიციტის მიზეზი და არა შედეგი. სწორედ ამაში მდგომარეობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობისადმი მონეტარისტული მიდგომა, რომლის თანახმადაც გადა ხდის დე ფიციტი შეიძლება გამოიწვიოს საზღვარგარეთული მოთხოვნის ზრდამ მოცემული ქვეყნის ფულზე, მისი სარეზერვო აქტივების სახით, გამოყენების მიზნით. სწორედ ამნაირად ამერიკის საგარეო ანგარიშთა დეფიციტი გამოიწვია საზღვარგარეთის ქვეყნების სურვილმა გაეზარდათ თავიანთი აქტივები დოლარებში. ამ დოლარებს ისინი იღებდნენ ამერიკული სესხების აღებით, ან ამ ქვეყანაში საქონლის გაყიდვით. სწორი არ იქნებოდა ამ დროს ამ ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი მისი ვალუტის სისუსტის ნიშნად ჩაგვეთვალა. ეს მაგალითი საპირისპირო სურათს იძლევა: უცხოელები ცდილობენ მეტი დოლარის ფლობას. ამგვარად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობისადმი მონეტარისტული მიდგომა, იმას მოწმობს, რომ საერთო ანგარიშთა დეფიციტი, ან დადებითი სალდო შეიძლება იყოს მოცემული ქვეყნის ვალუტაზე მოთხოვნის გადიდებით, ან შემცირებით გამოწვეული რეაქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგარეო სავალუტო ურთიერთობის განხილვისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რა არის მიზეზი და რა-შედეგი. რეზერვებსა და სხვა ფულად აქტივებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება იყოს სავაჭრო ნაკადების ფორმირების მიზეზი და არა შედეგი. ნორმალურად მზარდი მსოფლიო ეკონომიკის პირობებში, ქვეყანას, რომლის ვალუტაც საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალებად არის გამოყენებული, ფინანსური აქტივების დენალობაში უნდა გააჩნდეს დეფიციტი, რაც სავსებით ნორმალური და კანონზომიერი მოვლენაა. სარეზერვო

ვალუტოს მქონე ქვეყნის ქრონიკული საგარეო (ანუ უცრემლო) დეფიციტი შეიძლება შევადაროთ საბანკო დეფიციტს (რეზერვების საბანკო დეპოზიტებზე ჩამორჩენას). როგორც ცნობილია ბანკის მიერ აღებული ვალდებულებები (საბანკო ანაბრები) ყოველთვის აჭარბებს (და უნდა აჭარბებდეს კიდევ) მის რეზერვებს, რაც ნორმალურად მოქმედი ბანკისათვის არ არის საგანგაშო. ნებისმიერი ბანკი იმყოფება ნორმალურ ვითარებაში, თუ მისი რეზერვები შეადგენს აღებული ვალდებულებების მხოლოდ 1/3-ს. როცა ბანკი აფართოებს თავის საქმიანობას, ცხადია ვალდებულებები უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მისი რეზერვები, მაგრამ მათ შორის პროპორცია არ ირღვევა. მსგავსი ვითარება იყო ისტორიულად სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც თავის დროზე წარმოადგენდნენ მსოფლიოს წამყვან საფინანსო ცენტრებს (ნიუ-იორკი, ლონდონი და ა. შ.). მათ საგარეო ანგარიშთა დეფიციტი გააჩნდათ სწრაფი განვითარების პირობებშიც კი. ასევე დიდ ბრიტანეთს, როგორც 1914 წლამდე მზარდი მსოფლიო ეკონომიკის საფინანსო ცენტრს, გააჩნდა ლიკვიდურობისა და საერთო საგარეო ანგარიშთა დეფიციტი, რადგანაც მისი სალიკვიდაციო ვალდებულებები, რომლებიც რეზერვების პროპორციული იყო, აბსოლუტური გამოხატულებით, რეზერვებზე სწრაფად იზრდებოდა. ამასთან ეს ფაქტი მაშინ არც კი შეუმჩნევიათ, რადგანაც 1914 წლისათვის არ არსებობდა საგარეო ანგარიშთა ოფიციალური სტატისტიკა. ეს კი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მსოფლიო თანამეგობრობა არ შეშფოთებულიყო დიდი ბრიტანეთის მზარდი საგარეო დეფიციტის გამო. დიდ ბრიტანეთს არ ჰქონდა საგარეო ანგარიშსწორების პრობლემები, რადგანაც არ ჰქონდა შესაბამისი სტატისტიკა. ამავე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ 1958 წლიდან მოყოლებული ამერიკის დეფიციტიც. ამერიკა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აკრედიტებდა მთელ მსოფლიოს, თავისი სალიკვიდაციო ვალდებულებათა ზრდის წყალობით, "მსოფლიო ბანკირი" იყო და შესაბამისი დეფიციტიც ჰქონდა. ისმის ასეთი კითხვა: არის თუ არა, რეზერვებთან შედარებით, სალიკვიდაციო აქტივების წინმსწრები ტემპით დაგროვება

კრიზისის ნიშანი? ნეგატიური მოვლენები სხვა ნიშნებით უმაღლვე უნდა გამოჩენილიყო. 1958-70-იან წლებში ამერიკის ოქროსა და ვალუტის რეზერვები განუწყვეტლივ მცირდებოდა. უცხოელთა მიმართ ვალდებულებათა ზრდა აიხსნება უცხოელთა სურვილით – ჰქონოდათ სადოლარო აქტივები, რომელიც გაზრდის დოლარისაგან გაქცევის საშიშროებას.

1.2.საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა არსი

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნისათვის მომგებიანი საგარეო სავალუტო საკრედიტო კავშირების დამყარებას, შეიმუშაოს სწორი საგარეო სავალუტო და საკრედიტო პოლიტიკა, განსაზღვროს საექსპორტო პოტენციალი, ხელი შეუწყოს მათ ამოქმედებას, სამამულო ნაწარმის საგარეო ბაზარზე წინსვლა-დამკვიდრებას და ამით ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდას. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში მოქმედი კანონზომიერებანი შორს დგას ჩვეულებრივი ეკონომიკური მოვლენებისაგან. არბიტრაჟი, დილერები, მაკლერები, ` გველი გვირაბში`, ` მცოცავი მიბმა`, ` ჭუჭყიანი ცურვა` – ეს ისეთი ტერმინები დამახასიათებლებია სწორედ ეკონომიკის ამ სფეროსათვის. ეს ტერმინები არ ეფუძნება უბრალო ინტუიციას. ფაქტიურად ეს არის ეკონომიკური თეორიის კვლევის ისეთი სფერო, სადაც არსებითი ცვლილებების გარეშე შეუძლებელია გამოყენებული იქნეს მიკრო- და მაკროეკონომიკური თეორიები. ამდენად, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები ეს არის ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებს (სახელმწიფოებს, სავალუტო, საფინანსო ორგანიზაციებს ბანკებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ფირმებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შორის დამყარებული ფულად-საკრედიტო, სავალუტო სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სახის ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ემყარება შრომის საერთაშორისო

დანაწილებას და მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე. მისი ფუნქციონირება განისაზღვრება ობიექტური ეკონომიკური კანონებითა და კანონზომიერებებით. თანამედროვე საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისუფალი კონკურენციის პერიოდში არსებულისაგან, რაც განაპირობა ცალკეული სახის სავალუტო და საკრედიტო ბაზრის მონოპოლიზაციამ, სანარმო პროცესთა ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციამ, ეროვნულ მეურნეობათა ინტეგრაციის დონის გაღრმავებამ და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ. ამრიგად, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე 5 დაფუძნებულ მრავალრიცხოვან კავშირთა რთული სისტემაა. იგი მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოთა, მათ დაჯგუფებათა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის დამყარებულ საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსოფლიო მეურნეობის განვითარებას. ე. ი. საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირები არის ეკონომიკურ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის პროცესი. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, ეკონომიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთი დარგია. ის შეისწავლის ქვეყნებს შორის სავალუტო და საკრედიტო თანამშრომლობის ერთიანი მექანიზმის იმ მეთოდებისა და ფორმების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული სახელმწიფოები ერთმანეთს შორის ამყარებენ სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებს. არსებობს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების მოტივაციის რამდენიმე საშუალება, რომელთა რიცხვს განეკუთვნება:

1. უცხოეთის იაფი ნედლეულის, საქონლისა და მომსახურების გამოყენება;
2. საქონლის ექსპორტით მოგების მიღება

3. სხვადასხვა ქვეყნის მყიდველთა და გამყიდველთა საშუამავლო ფუნქციებზე დასპეციალიზირება. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში – განსაკუთრებით მცირე ერებისათვის, რომელთაც შეზღუდული ეროვნული რესურსები და გასაღების მცირე შიდა ბაზრები აქვთ. ასეთ ქვეყნებს არ შეუძლიათ შიდა მოხმარებისათვის საჭირო ყველა საქონლის, სათანადო ეფექტიანობით, ერთდროულად წარმოება. შესაბამისად, საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირები მათთვის სასურველი საქონლისა და ნედლეულის მიღების ძირითადი საშუალებაა. სწორად დაგეგმილი საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირები მომგებიანია, რადგანაც იგი ზრდის ეროვნულ შემოსავლებს, დასაქმების დონეს, სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობას, აჩქარებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებს და პირიქით. ამრიგად, თუ ქვეყანამ მიზნობრივად, ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით წარმართა საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირები, მაშინ მას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის დაჩქარების სფეროში, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა შეზღუდული ეროვნული რესურსების პირობებში მაქსიმალურად და მრავალფეროვნად დააკმაყოფილოს ქვეყანამ საკუთარ მომხმარებელთა მოთხოვნა. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები ისტორიულად პირველად ჩაისახა კაპიტალიზმის აღმოცენებისა და მსოფლიო ეკონომიკის ნატურალური მეურნეობიდან ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე გადასვლისთანავე, ანუ მაშინ, როდესაც საერთაშორისო საქონელგაცვლის პროცესში ჩაერთო ფერად ლითონებთან შედარებით ბევრად უფრო მობილური, ხანგამძლე და ადვილად აღდგენადი საშუალება – ფული. ამით საქონელგაცვლის ნატურალურმა ფორმამ შეწყვიტა თავისი არსებობა და იგი შეცვალა საქონელგაცვლის ახალმა ფორმამ – 'საქონელი-ფული-საქონელი', სადაც ქალაქის ფული ასრულებდა გაცვლის

ექვივალენტის როლს. ამრიგად, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა ისტორიულად პირველი ფორმა არის საერთაშორისო ფულად-სასაქონლო ურთიერთობები, რომლის განვითარება დაკავშირებულია ნატურალური მეურნეობიდან ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე გადასვლასთან. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო კავშირების შემდგომი გაღრმავება დაკავშირებულია კაპიტალის აღმოცენებასთან, რამაც განაპირობა ეროვნული ბაზრებისა და ეროვნული მეურნეობების ჩამოყალიბება. საწარმოო ძალთა განვითარებამ წარმოშვა ამ ეროვნულ მეურნეობათა შორის კავშირების დამყარების აუცილებლობა. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომ გაღრმავებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მანქანური ინდუსტრიის განვითარებამ. ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო ფულად-სასაქონლო ურთიერთობა განხორციელდა მსოფლიოში აღიარებულ ვალუტაში. თავდაპირველად ასეთი საკვანძო ვალუტის როლს ასრულებდა ინგლისური გირვანქა სტერლინგი, რომელთაც შემდეგ გამოუჩნდა ახალი კონკურენტი დოლარის სახით. თანამედროვე ეტაპზე წამყვანი ვალუტის მნიშვნელოვან პრეტენზიას აცხადებს ევრო. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავება ფულად-სასაქონლო მიმოქცევიდან გადაინაცვლა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა, კვალიფიცირებული კადრების, ლიცენზიების, კრედიტების, სესხების, ობლიგაციების და სხვა სახის ფინანსური კაპიტალის გაცვლაზე. ამიტომ საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში საქონელგაცვლის ხვედრითი წილი რამდენადმე შემცირდა. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო 7 ურთიერთობების ისტორიული განვითარება დაკავშირებულია ფულად-სასაქონლო გაცვლისა და სასაქონლო კაპიტალის პირველადი ფორმის სრულყოფასთან. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები პირველად იურიდიულად გაფორმდა რომის იმპერიაში. სამუშაო დროის ექვივალენტის დადგენის მიზნით, ფორმდებოდა საზოგადოებრივი

ფორმის ყიდვა-გაყიდვის აქტი. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების ამ ფუნქციაზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა კაპიტალის ქვეყნებს შორის დაბანდების გავრცელების შემდეგ, რაც წარმოებაში პროდუქტის ნაყოფიერების მკვეთრმა ამაღლებამ განაპირობა. XIX_XX საუკუნეთა მიჯნაზე მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის ამაღლება. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად შეიმჩნეოდა დარგობრივი ცვლილებანი საერთაშორისო ვაჭრობაში. საქონელგაცვლას სულ უფრო ცვლიდა საინვესტიციო და სამშენებლო საქმიანობა. თუ XIX საუკუნის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები დომინირებდა არამწარმოებლურ დარგებში, XX საუკუნის დასაწყისში იგი გადაინაცვლა მწარმოებლურ დარგებში: ელექტროსადგურების, რკინიგზების, პორტების და სხვათა მშენებლობაში. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები იქცა მაღალგანვითარებული ქვეყნების მონოპოლიზაციის პლაცდარმად, სამრეწველო პროდუქციის გასაღების ხელშემწყობ ინსტრუმენტად.. XX საუკუნის შუა ხანებში საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის დაპირისპირება. წარმოების მასშტაბებმა წინ გაუსწრო მოთხოვნის ზრდის ტემპს. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის წინააღმდეგობა გამოიწვია კაპიტალის მიგრაციამ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში სავალუტო სისტემების მონოპოლიზაციის შემდეგ მიმოქცევის მთავარ ფორმად იქცა კაპიტალის ექსპორტი. ამიტომ, ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალდაბანდება კარგავს ეროვნულ ხასიათს და ინტერნაციონალური ხდება. თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ფულის მიმოქცევის, საკრედიტო სისტემის, სავალუტო ოპერაციებისა და საინვესტიციო პროცესების სახელმწიფო რეგულირების ზრდის

ტენდენცია.. საერთაშორისო საინვესტიციო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობებში გაბატონებული პოზიციები დაიჭირეს საერთაშორისო მონოპოლიებმა, რომელთა ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა ტრანსნაციონალური კორპორაციები. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა მეთოდოლოგიური საფუძვლები. ქვეყნებს შორის სავალუტო და საკრედიტო თანამშორმლობის მკვეთრმა აღმავლობამ და ინტენსიურად განვითარებამ შექმნა საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების აუცილებლობა. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. შემდეგში მოხდა მეცნიერების ამ დარგის დახვეწა. გამოიკვეთა მისი კვლევის საგანი, მიზანი, ამოცანები, ობიექტი, სუბიექტი, ფორმები, პრინციპები და ა. შ. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის საგანია ცალკეულ სახელმწიფოთა კერძო და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის დამყარებული საკრედიტო, საინფორმაციო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირები. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების კვლევის მიზანია შეისწავლოს საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობათა ძირითადი ელემენტები, განსაზღვროს იმ ფაქტორების, ხერხების, კრიტერიუმების და მეთოდების ერთობლიობა, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მისი შემადგენელი თითოეული ელემენტის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის ობიექტს წარმოადგენს მომსახურება, მატერიალური და ფულადი რესურსები, ხოლო მისი კვლევის სუბიექტებია კერძო და სახელმწიფო სტრუქტურები, ბანკები, სავალუტო დაწესებულებები, ტრანსეროვნული კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნესმენები, მენარმეები, ფიზიკური და იურიდიული პირები და ვალუტებისა და კრედიტების გაცვლით დაკავებული სხვა სუბიექტები. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო

ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის უმთავრესი ამოცანაა იმ სავალუტო-საბანკო ბერკეტებისა და ინსტრუმენტების შესწავლა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ქვეყნის საგარეო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა მართვა. გარდა ამისა, მისი კვლევის სხვა თანმდევი ამოცანებია:

1. განსაზღვროს საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირების წინასწარ განჭვრეტის მეთოდოლოგია;
2. გამოიმუშავოს თეორიული მასალების პრაქტიკასთან შერწყმის უნარი;
3. დადგინდეს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების თეორიული მასალების კვლევის შესაბამისი მეთოდები და ხერხები, რაც საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადაწყვეტილ იქნეს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა ფორმები, მათი კვლევის პრინციპები და მეთოდები საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების განვითარების უმთავრესი პირობაა მსოფლიო მეურნეობის ერთიანობა და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება. არსებობს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. კაპიტალის ექსპორტი;
2. საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობები;
3. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა;
4. სავადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობები;
5. მრავალეროვნული კომპანიების არსებობა;
6. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი რეგულირება;
7. საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ბანკების საქმიანობა საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში.

არსებობს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში გამორიცხული უნდა იყოს პარტნიორი ქვეყნებისა და ფირმების დაზარალება ერთმანეთის მიზგზით;

2. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და მისი მიღწევების სასარგებლო გამოყენებას;

3. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი საინვესტიციო და საკრედიტო რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ორივე მხარის სასარგებლოდ ხარჯვას;

4. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებმა უნდა უზრუნველყოს სოციალური კლიმატის გაუმჯობესება;

5. საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობაში წამოჭრილი უთანხმოება უნდა დარეგულირდეს მშვიდობიანი გზით;

6. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ბერკეტები არ უნდა გამოიყენებოდეს სუვერენულ სახელმწიფოთა დასასუსტებლად (ეკონომიკური ბლოკადების, სანქციების და სხვა ფორმების სახით);

7. გამორიცხული უნდა იყოს მძლავრ სახელმწიფოთა მიერ სხვა სუსტი ქვეყნების საკრედიტო საქმეებში ჩარევა.

არსებობს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა კვლევის შემდეგი მეთოდები:

1. დიალექტიკური მეთოდი;
2. ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი;

3. მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი;
4. ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ნიშნები და თავისებურებანი, მათზე მოქმედი ფაქტორები თანამედროვე პირობებში არსებობს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა მახასიათებელი შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1. შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე დაფუძნებულობა;
2. ფულად-საკრედიტო ურთიერთობითი ხასიათი;
3. საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობა;
4. კონკურენციის არსებობა;
5. სავალუტო-საკრედიტო და საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა;
6. ტრანსეროვნული კომპანიებით მონოპოლიების წარმოქმნა;
7. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება.
8. საკუთარი საბანკო, საინვესტიციო და სავალუტო ინფრასტრუქტურის არსებობა.

თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რომელთაც განეკუთვნება:

1. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა მასშტაბურობა;
2. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების დიდი სიმრავლე;
3. ვალუტების, ფინანსური სახსრების, აქტივებისა და ინვესტიციების მყიდველთა და გამყიდველთა დიდი სიფრცობრივი დაშორება;
4. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში არსებული კონკურენციის სიმძაფრე;
5. ქვეყნებს შორის საკრედიტო, სავალუტო და საინვესტიციო რესურსების მიგრაციის ნაკლებმობილურობა

6. ეროვნული ვალუტების მეშვეობით საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობათა მართვის სირთულე;

საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს განეკუთვნება:

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება;
2. გარე სამყაროს გლობალური ცვლილებები;
3. ხალხთომსახლეობის ზრდა და მათი მუდმივი მიგრაცია;
4. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავების ზრდა;
5. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა დაკავშირებულობა;
6. საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაძლიერება;
7. საინვესტიციო სტრუქტურების როლის ზრდა.

საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ტენდენციები ტრანსნაციონალური კორპორაციების საგარეო საინვესტიციო საქმიანობის მთავარი ფორმაა კაპიტალის ექსპორტი, რომლის მეშვეობითაც ისინი ზემოქმედებენ ცალკეულ ქვეყანაში მათ მიერვე განლაგებულ ფილიალებსა და შვილობილ კომპანიებზე. 1950_1960-ან წლებში მრავალეროვნული კომპანიების ფილიალები იქმნებოდა განვითარებადი ქვეყნების მომპოვებელ დარგებში, ხოლო 1970_1980-ან წლებში კი ისინი გადაინაცვლა მაღალგანვითარებულ ქვეყნების გადამამუშავებელ მრეწველობაში: ენერჯეტიკაში, მშენებლობასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში.. ამჟამად ტრანსნაციონალური კორპორაციები ეძებენ იაფი მუშახელისა და სტაბილური პოლიტიკური ვითარების მქონე ქვეყნებს. ბოლო დროს კაპიტალის კონცენტრირება შეინიშნება მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, რომელთა კომბინირებით იქმნება მძლავრი მონოპოლისტური გაერთიანებები. სწორედ ისინი აკონტროლებენ მთლიან მსოფლიო ბაზარსა და ცალკეული ქვეყნის ეროვნულ მეურნეობებს. თანამედროვე ეტაპზე მცირე და საშუალო ფირმებს არ ძალუძთ გაძლონ

საერთაშორისო საინვესტიციო კონკურენციას. მცირე და საშუალო ფირმები ექცევიან მსხვილი მონოპოლიების კონტროლის ქვეშ, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ ` მაღალი ტექნოლოგიების მქონე` სწრაფად განვითარებად დარგებში: ელექტრონიკაში, ბიოტექნიკასა და ინფორმატიკაში. დარგობრივ ორიენტაციაში მომხდარი ცვლილებები აძლიერებს კონტროლს დარგთაშორის კავშირებზე. თანამედროვე საერთაშორისო საინვესტიციოდა საკრედიტო ურთიერთობებში სამეურნეო პროცესების კონტროლის ამალღების მიზნით, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მონოპოლიათა ურთიერთკავშირის სისტემა. გაღრმავდა ინტეგრაციული პროცესები. ადგილი აქვს კაპიტალდაბანდების ინტერნაციონალიზაციას. ამდენად, ბოლო დროს მნიშვნელოვნად ამალღდა კაპიტალდაბანდების კონცენტრაციის დონე. თანამედროვე ეტაპზე იცვლება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობა. თუ II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, კაპიტალდაბანდების მხრივ, მსოფლიოს ლიდერობდა ამერიკა, ამჟამად ჩამოყალიბდა ოთხი წამყვანი საფინანსო ცენტრი: ამერიკა, დასავლეთ ევროპა, ჩინეთი და იაპონია. სულ უფრო მძლავრდება გასალღების ბაზრებისათვის მათ შორის გამართული კონკურენცია. გამძაფრდა ამერიკის უთანხმოება ჩინეთთან, იაპონიასა და დასავლეთ ევროპასთან სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში. 1980_12 1990-ან წლებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებმა (ჰონგ-კონგმა, სინგაპურმა, ტაივანმა, სამხრეთ კორეამ) და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა (ბრაზილიამ, არგენტინამ, მექსიკამ), რომლებიც მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ ოთხ წამყვან საფინანსო ცენტრს. 1990-იან წლებში საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გლობალურ ეკონომიკურ პროცესებს, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო სავალუტო-საკრედიტო, საინვესტიციო კავშირების და კაპიტალდაბანდების ერთიან სისტემაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, 15 ყოფილი სოციალისტური ქვეყანა დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას და დამოუკიდებლობის სტატუსით

ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში. მათი მთავარი მიზანია უცხოური კაპიტალის მოზიდვა ეროვნულ ეკონომიკაში, და შიდა კაპიტალის დაგროვება, რათა ფინანსურად არ დაიპყრონ მათი ეკონომიკა, უცხოეთის ტრანსნაციონალურმა მონოპოლიებმა. მსოფლიო მეურნეობის რეგიონალიზაციამ შეცვალა ცალკეული ქვეყნის ხვედრითი წილი საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში. განვითარდა გარიგების ახალი ფორმები: პატენტებით, ლიცენზიებით, ტექნოლოგიებით ვაჭრობა, კლირინგი, სავალუტო კონტრაქტები, საკრედიტო კავშირები, კონსალტინგისა და მომსახურების სხვა ფორმები. ამჟამად მსოფლიო სავალუტო და საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირი. სულ უფრო იზრდება იაპონიის როლი მსოფლიო საკრედიტო ბაზარზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ ქვეყნებში იწვევს ძირითადი კაპიტალის განახლებას, ახალი დარგების შექმნას და ძველის რეკონსტრუქციას. მან უშუალო გავლენა მოახდინა წამყვან სამრეწველო დარგებზე, მათ საექსპორტო ორიენტაციად ფორმირებაზე. საგარეო ბაზრების არსებობა ხშირად წყვეტს სავალუტო-საკრედიტო გარიგებათა ბედს. თანამედროვე ეტაპზე არცერთ ქვეყანას არ შეუძლია, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით გაძლოს, მსოფლიო სავალუტო-საკრედიტო სისტემის მონოპოლიზაციის პირობებში, სხვა ქვეყნებთან სავალუტო და საკრედიტო თანამშრომლობის გარეშე, რაც კიდევ უფრო ზრდის ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას, მათ შორის გამართულ კონკურენციას. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო შეიმჩნევა საგარეო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა ლიბერალიზაციის ტენდენცია. ამდენად, ღია ეკონომიკაზე გადასვლა თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენციაა.

საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სტრატეგიული განვითარების მიმართულებანი თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ

წარმოებული სამეცნიერო კვლევების და სავალუტო-საკრედიტო სისტემის პრაქტიკაში მოღვაწე ექსპერტთა პროგნოზების ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ სულ უფრო შეიცვლება საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სტრატეგიული განვითარების მიმართულებანი, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები. ბევრი განვითარებადი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპი კიდევ უფრო გააძლიერებს საერთაშორისო კონკურენციას. ენერგომომცველებზე ფასების კოლოსალური ზრდა და თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის დისპროპორციის გაღრმავება კიდევ უფრო კიდევ უფრო დააჩქარებს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა სტრუქტურულ ცვლილებას. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ტენდენცია იქნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ ეროვნული და სასურსათო თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება. ამათუიმ ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში საგარეო სავალუტო და საკრედიტო კავშირების ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა მაჩვენებელი. საქონლის იმპორტი გამოიწვევს ფინანსური სახსრების უცხოეთში გადენას. ქვეყნებს შორის სავალუტო და საკრედიტო თანამშრომლობის საფუძველი იქნება შრომის საერთაშორისო დანაწილება, რომელიც შექმნის საერთო ეკონომიკური კანონების ბევრად უფრო სრულყოფილად განვითარების წინაპირობებს. შრომის საერთაშორისო დანაწილების მთავარი მახასიათებელი თვისება იქნება მასში მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობა, მიუხედავად მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-ინსტიტუციონალური წყობისა. წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია და კოოპერირება გამოიწვევს საწარმოო სისტემის განვითარებასა და მისი მდგრადობის გაძლიერებას. შრომის საერთაშორისო დანაწილება გახდება ის 'ინტეგრატორია', რომელიც ცალკეული ეკონომიკური ელემენტებისაგან განავითარებს

საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა ერთიან სისტემას. საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა კანონზომიერების გამოვლენით, შრომის საერთაშორისო დანაწილება შექმნის მსოფლიო მეურნეობის კვლავწარმოების ერთიან პროცესს, ცალკეული ქვეყნის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობებს.

1.3. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ბაზრები და ორგანიზაციები

ბაზრები და მათი სახეობანი მსოფლიო ბაზრის დაყოფა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგ., ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით არსებობს:

1. სრული კონკურენციის ბაზარი;
2. მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი;
3. ოლიგოპოლიური ბაზარი;
4. წმინდა მონოპოლიური ბაზარი.

სივრცობრივი ნიშნის მიხედვით ბაზარი იყოფა: ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებად. ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით ბაზარი იყოფა საქონლისა და მომსახურების ბაზრად, წარმოების ფაქტორთა ბაზრად, ფინანსურ და ინფორმაციულ ბაზრად. ამ ნიშნების გარდა ბაზარი შეიძლება დაიყოს: საბითუმო და საცალო, ფიზიკურს ბაზრებად, რეგულირებად და არარეგულირებად ბაზრებად, განონასწორებულ და დეფიციტურ ბაზრებად, ლეგალურ და `შავ` ბაზრებად. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო დონეზე მოქმედი ისეთი ეკონომიკური სუბიექტები, როგორცაა: საერთაშორისო სავალუტო ბაზარი, საკრედიტო ბაზარი, საერთაშორისო ბანკები, ფინანსური ბაზარი, ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების, აქციების, თამასუქების), ოფციონების და ფიზიკურს ბაზრები. სავალუტო ბაზრის როლი

საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებაში
საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა ფორმირებაზე
მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო სავალუტო ბაზარი, რომელიც, თავის
მხრივ, შედგება ცალკეული ქვეყნის ეროვნული სავალუტო ბაზრებისაგან. მისი
თავისებურება ისაა, რომ ყოველ ქვეყანას გააჩნია თავისი ვალუტა. ამიტომ რამდენი
ქვეყანაცაა, შესაბამისად იმდენი განსხვავებული ვალუტა და ეროვნული სავალუტო
სისტემაა მსოფლიოში. ცალკეული ქვეყნის სავალუტო სისტემა, თავის მხრივ,
ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით. სხვადასხვა ქვეყნის
საზღვრებში შექმნილი განსხვავებული სავალუტო გარემო მნიშვნელოვან პრობლემებს
ქმნის საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა ერთიანი სისტემის
ფორმირებაში. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფა
მოითხოვს გაცვლის ერთეულის, რეზერვების გაზომვისა 15 და სხვა ფუნქციების
შესრულების საშუალების გამონახვას. საერთაშორისო სავალუტო სისტემა
უზრუნველყოფს სწორედ ამ ფუნქციების რეალიზებას. ამ ფუნქციებს ასრულებს
სარეზერვო ვალუტა, რომლის მოვალეობასაც, როგორც წესი, ასრულებს
ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე უფრო მეტად განვითარებული ქვეყნის
ვალუტა. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს ვალუტა არის სხვა ქვეყნების ვალუტების
კურსის განსაზღვრის ძირითადი საფუძველი, ხოლო საერთაშორისო სავალუტო-
საკრედიტო ურთიერთობებში კი იგი ასრულებს ანგარიშსწორებისა და რეზერვების
დაგროვების ფუნქციებს. ვალუტა, რომელიც თავისუფლად იცვლება სხვა ნებისმიერი
ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე კონვერტირებადია. ხოლო თუ ვალუტის გაცვლითი
ფუნქციები არ სცილდება, მის ეროვნულ საზღვრებს, იგი არაკონვერტირებადია.
თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში სავალუტო
გარიგებისას გამოყენებული აქტივების უმეტეს ნაწილს აქვს დეპოზიტის სახე. სხვადასხვა
ქვეყნის სავალუტო სისტემები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ფიქსირებულ და მცურავ

სავალუტო კურსთა სისტემად. მსოფლიო სავალუტო სისტემის ერთ-ერთ მახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სავალუტო ლიკვიდობა. ლიკვიდური აქტივებით შესაძლებელია ნებისმიერი ქვეყნის ფინანსურ ვალდებულებათა შეუფერხებლად დაფარვა. ლიკვიდური აქტივები მსყიდველუნარიანია ნებისმიერ ქვეყანაში. სავალუტო ბაზარი უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის ვალუტების გაცვლის მყარ ორგანიზაციულ და სამართლებრივ სისტემას. მსოფლიო სავალუტო ბაზარი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკთა საკორესპოდენციო კავშირებს, სადაც ხორციელდება ჰეჯირების, სასპეკულაციო, სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციისა და სავალუტო ლიკვიდობის გადაადგილების ოპერაციები. სავალუტო ოპერაციები ორნაირად ხორციელდება:

1. დაუყოვნებლივ, ანუ სპოტ-ბაზარზე;
2. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, - ანუ ვადიან ბაზარზე. პირველ შემთხვევაში სავალუტო გარიგება უნდა შედგეს მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის განმავლობაში. მეორე შემთხვევაში კი გარიგება მოხდება გვიან, მაგრამ იმ სავალუტო კურსის მიხედვით, როცა დაიღო სავალუტო გარიგება. სავალუტო კურსის დადგენას კოტირება ეწოდება. არსებობს კოტირების ორი მეთოდი: პირდაპირი და უკუ-კოტირება. პირდაპირი კოტირებისას ეროვნული ვალუტის ერთეულის ფასი დგინდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო უკუკოტირებისას კი პირიქით_უცხოური ვალუტის ფასი დგინდება ეროვნულში. სავალუტო გარემოს აკონტროლებენ კომერციული ბანკები, მაგრამ ამ სფეროში `ამინდს` ქმნიან ბროკერებიც,. ისინი ამარტივებენ გარიგებებს ვადიან ბაზარზე. საერთაშორისო საკრედიტო ბაზრები და ინსტიტუტები საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო მასშტაბით მოქმედი საკრედიტო ბაზრები და ინსტიტუტები, რომლებიც განსაზღვრავენ აქტივების გაცვლის სფეროს. საკრედიტო ბაზარი უზრუნველყოფს მყარი კავშირების დამყარებას საერთაშორისო დონის კლიენტებსა და საერთაშორისო ბანკებს შორის. ამ მიზნით მრავალი ბანკი ტოვებს ეროვნულ ბაზარს და სამუშაოდ გადის საზღვარგარეთ.

როდესაც საქმე ეხება საკრედიტო ბაზრებს, უცხოური კომპანიები განიცდიან სხვა დამოკიდებულებას, ვიდრე ადგილობრივი. მიუხედავად ამისა, უცხოურ კომპანიებს ზოგჯერ შეუძლიათ ჰქონდეთ კრედიტების მიღების სხვა გზებიც, ვიდრე ადგილობრივ ფირმებს. ასეთი კომპანიები იყენებენ კომპენსაციურ კრედიტს, თუ სარგებლის განაკვეთი მაღალია და დაკრედიტება გაყინული. სავალუტო სისტემის განვითარებამ შექმნა ევროპის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობები. ევროპის საკრედიტო ბაზარი უპირატესად გამოიყენება მისი წევრი ქვეყნების საგადასმდელო ბალანსის გასაწონასწორებლად. გრძელვადიანი საკრედიტო სისტემა შეიქმნა ენერჯეტიკის, ტელეკომუნიკაციისა და წვრილ, ან საშუალო საწარმოოთა დასაფინანსებლად. ევროპაში ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ბაზრების გვერდით ჩამოყალიბდა ევროპის კაპიტალის ბაზრები. ისინი ახდენენ ტრანსნაციონალური კორპორაციების კაპიტალის მობილიზაციას და წარმოადგენენ ინოვაციების მუდმივ წყაროს. ფინანსური ბაზრები ჩამოყალიბდნენ განაკვეთების განსაზღვრის მიზნით. მათი მიზანია საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი საფინანსო ინსტიტუტია. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია გარკვეულწილად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, ის თავის საქმიანობას წარმართავს მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალ სხვა ინსტიტუტებთან შეთანხმებულად. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია დაარსდა 1956 წელს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის დახმარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით. ამ გზით კორპორაცია ვარაუდობს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას. ამისათვის კორპორაცია: (ა) აფინანსებს კერძო სექტორს განვითარებად ქვეყნებში პროექტების განსახორციელებლად; (ბ) ეხმარება განვითარებადი ქვეყნების კერძო კომპანიებს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან სახსრების მობილიზებაში და (გ) უწევს კონსულტაციას და ტექნიკურ დახმარებას ამ ქვეყნების

კერძო სექტორს. ამჟამად საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრია 175 ქვეყანა, რომლებიც კოლექტიურად განსაზღვრავენ კორპორაციის მიერ განსახორციელებელ პოლიტიკას და ამტკიცებენ ინვესტიციებს. კორპორაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ), თუმცა მისი ფილიალები არსებობენ მთელს მსოფლიოში. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პრეზიდენტია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტი. კო-რპორაციაში ძალაუფლება თავმოყრილია მმართველთა საბჭოს ხელში, სადაც წევრ ქვეყნებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები. მმართველთა საბჭო თავისი უფლებამოსილებების დიდი ნაწილის დელეგირებას ახდენს დირექტორთა საბჭოზე, რომელიც იხილავს კორპორაციაში წარდგენილ ყველა პროექტს. იმისათვის, რომ პროექტი დაფინანსდეს კორპორაციის მიერ, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

- 1) ინვესტორისთვის იყოს მომგებიანი;
- 2) სარგებელი მოუტანოს იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ხორციელდება;
- 3) დააკმაყოფილოს კორპორაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები.

საქართველო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი გახდა 1995 წელს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ უკანასკნელ წლებში გააუმჯობესა თავისი სოციალური და გარემოსდაცვითი მიდგომები, მის მიერ გატარებულ პოლიტიკას კვლავ გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. ეს განსაკუთრებით ეხება საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესს. კორპორაცია ხშირად ხვდება კრიტიკის ქარცეცხლში იმის გამოც, რომ ვერ უზრუნველყოფს სესხის მიმღებების მიერ კორპორაციის მოთხოვნების (სტანდარტების) შესრულების ზედამხედველობას/კონ-ტროლს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ გადანყვიტა არ დაქვემდებარებოდა მსოფლიო ბანკის საინსპექციო პანელს. სამაგიეროდ, 1999 წელს კო-რპორაციამ ჩამოაყალიბა ომბუდსმენის აპარატი. ეს ორგანო კორპორაციის მიერ დაფინანსებული პროექტების შედეგად დაზარალებული

მოსახლეობის წინაშე ანგარიშგების ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენს. საფინანსო კორპორაციის ომბუდსმენი და მისი ფუნქციები. 1999 წლიდან საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში არსებობს კო-რპორაციის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად დაზარალებულ პირთა საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც წარმოდგენილია ომბუდსმენისა და მისი აპარატის სახით. ომბუდსმენი დამოუკიდებელი თანამდებობის პირია. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ორგანიზაციები საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ისეთი საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ორგანიზაციები, როგორცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო დონის ბანკები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეხმარება ღარიბ ქვეყნებს საგადამხდელი დისბალანსის პრობლემების აღმოფხვრაში, ეს კი ხელს უწყობს ამ ქვეყნების ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების პროგრამებს. მათი მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, ფონდი `მწვანე შუქს` უნთებს მსოფლიო ბანკს, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში მსხვილი ეკონომიკური პროექტების დაფინანსებისათვის. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო განვითარების სააგენტო და მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო – ყველა ეს საფინანსო ინსტიტუტი ერთად მოიხსენიება როგორც “მსოფლიო ბანკი”. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ღარიბ ქვეყნებს ეკონომიკის რესტრუქტურისათვის კრედიტებით, და ახდენს სტრატეგიული დარგების დაფინანსებას. ამიტომ მას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს განვითარებადი ქვეყნების ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე. მისი პოლიტიკა შესაბამისობაში უნდა იყოს სსფ-ს პოლიტიკასთან. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, II მსოფლიო ომის პერიოდში ეკონომიკური კარჩაკეტილობით გამოწვეულმა დეპრესიამ, უბიძგა იქეთ, რომ შემოედოთ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც

მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფდნენ ბიზნესის წარმართვისათვის სტაბილურ მეგა-გარემოსა და თავისუფალი ბიზნეს-საქმიანობის განვითარების პირობებს. სწორედ ასეთი ორგანიზაციებია საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. მათი ამოცანაა საერთაშორისო მასშტაბით ყველა ქვეყნის ვალუტის კურსის სტაბილიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ნაკადების მონესრიგება. ფონდი სესხებს გასცემს ქვეყნებზე მათი საგადასახადო ბალანსის მოსაწესრიგებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები იქმნება მისი წევრი ქვეყნების მიერ საპაიო შენატანებით, რომელიც დგინდება ფონდის საერთო კაპიტალში მათთვის დაწესებული ქვოტის მიხედვით. ქვოტა განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის შენატანის სიდიდეს, ხმების რაოდენობასა და კრედიტების აღების უფლებას. ფონდი, მის წევრ-ქვეყნებთან ურთიერთობას, 1970-იან წლებამდე ამყარებდა მხოლოდ ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში. 19 ოფციონებისა და ფიუჩერსული ბაზარი. ვადიანი გარიგებების პროგრესული ფორმებია ოფციონები და ფიუჩერსული გარიგებანი. ოფციონი არის უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე უფლების მიღება. ფირმა, რომელიც ყიდულობს ოფციონს, იხდის საბროკერო მომსახურების გადასახადს. სამაგიეროდ ფირმა ამით იღებს უფრო მეტ ტექნიკურ მოქნილობას. ფიუჩერსული ბაზარი წარმოადგენს ფასების განუსაზღვრელობის პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებას. ბაზრის ამ სახეობამ ჩანასახი ჰპოვა 1970-80-იან წლებში. თავდაპირველად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფიუჩერსული ბაზრები. ამ დროს სეზონური საქონლის გამყიდველები წინასწარ აფორმებდნენ კონტრაქტს მყიდველებთან წინასწარ განსაზღვრულ ფასებში, იმ იმედით, რომ შემოდგომაზე უხვმოსავლიანობის დროს ფასები დავარდებოდა. შესაბამისად, სასაქონლო ბაზარი დაიყო ვადიანი კონტრაქტებისა და საქონლის ჩვეულებრივ ბაზრებად. ამას შედეგად მოჰყვა ფინანსური ფიუჩერსული ბაზრების განვითარება, სადაც წინასწარი კონტრაქტები ფორმდებოდა თამასუქებისა და ობლიგაც-იების ყიდვა-გაყიდვაზე. XX საუკუნის მეორე ნახევარში

შეიმჩნეოდა ვალუტების კურსების რყევა, რის შედეგად წარმოიშვა ფიუჩერსული ბაზრების წარმოშობის აუცილებლობა. ფიუჩერსული და ფორვარდული კონტრაქტები იღება ვადიან ბაზარზე, სადაც მომხმარებელი და მიმწოდებელი უშუალოდ ხვდებიან ერთმანეთს საქონელზე სამომავლო ფასებისა და გაყიდვის ვადების შესათანხმებლად. ვადიანი კონტრაქტების სავალუტო ბაზრებმა ფუნქციონირება დაიწყო 1982 წლიდან უმსხვილეს საერთაშორისო ბირჟებზე, სადაც გარიგება ხდება წინასწარშეთანხმებული ფასის მიხედვით. ვადიანი კონტრაქტების ფიუჩერსულ ბაზრებზე ექსპორტიორები და იმპორტიორები თავს იზღვევენ დანაკარგებისაგან აქტივების ეროვნულ ფორმაში გადმორიცხვისას. ვადიანი კონტრაქტების ბაზარზე მისი გაყიდვა ხდება დაფარვის გარეშე, რაც იძლევა სპეკულიაციის განვითარების საშუალებას. ამ ბაზრის სუბიექტებად გვევლინებიან ჰეჯერები, რომლებიც ახდენენ ვალუტების კურსთა სამომავლო რყევისაგან აქტივების დაზღვევას. ფიუჩერსულ სავალუტო ბაზარზე გარიგების ვადები მერყეობს 2 დღიდან 2 წლამდე. ფიუჩერსული ბაზრები იყოფა საბირჟო და არასაბირჟო ბაზრებად. საბირჟო ბაზარი მუშაობს ოფიციალურ ბირჟებზე. იგი მაღალორგანიზებულია და მოიცავს თანამშრომლობის შემზღუდავ წესებს. არასაბირჟო ბაზარს `ქუჩის` ბაზარსაც უწოდებენ. მისი ნაკლია გარიგების აღსრულების გარანტიის არარსებობა, მაგრამ მისი უპირატესობა თავისუფალია საბირჟო შემზღუდვებისაგან თავისუფლება. საკრედიტო ბაზრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბაზრების მიხედვით.

1.4 სავალუტო პოლიტიკის სტრატეგიის მიმართულებანი

ეროვნული ვალუტის კურსი მართვისათვის საჭიროა ჯერ შესწავლილი იქნას ამ ქვეყნის ეროვნულ მომხმარებელთა სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები. ამ ფუნქციების ოპტიმალური შერჩევა სავალუტო რეჟიმის განსაზღვრის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარია. ეროვნული კეთილდღეობის პრობლემების შესწავლა უნდა

მოხდეს ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ ეტაპზე: ა) არსებული სავალუტო პოლიტიკის 5 ვარიანტიდან სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ერთერთი; ბ) ამ ვარიანტების განხილვის შემდეგ შესწავლილი უნდა იქნას სავალუტო ბაზრის მექანიზმი ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსის პირობებში; გ) დადგინდეს, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანამ ეროვნულ ვალუტაზე არსებული მოთხოვნილება; მეორე ეტაპზე: განიხილება არგუმენტები ცვალებადი სავალუტო კურსის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამასთან, სავალუტო პოლიტიკის (სტრატეგიის) ვარიანტების რიცხვი მრავალია, რომლებიც გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყანის პრაქტიკაში და ზოგიერთ მათგანში სავალუტო კურსის რეჟიმის არასწორმა შერჩევამ გამოიწვია ეკონომიკის კრიზისული სიტუაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალუტო პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრის სწორი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას.

თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოვეყოთ სავალუტო სტრატეგიის 5 ძირითადი ვარიანტი:

1. დროებითი არასტაბილურობის დაფინანსება
2. სავალუტო კონტროლი;
3. „თავისუფალი მცურავი“ სავალუტო კურსები;
4. მუდმივად ფიქსირებული კურსები;
5. ვალუტის მართვადი (რეგულირებადი) „ცურვა“.¹

განვიხილოთ თითოეული ვარიანტი მოკლედ. პირველი, დროებითი არასტაბილურობის დაფინანსება გამოიყენება ისეთი ვითარებისას, როდესმაც ქვეყნის საგადასმდელო დეფიციტი დროებითია და, რომელიც წარმოქმნილია ამა თუ იმ პროგნოზირებული ფაქტორის ზემოქმედებით (მაგალითად, უცხოური ვალუტის შემოდინების სეზონურობა). ამ შემთხვევაში წარმოქმნილი დეფიციტის დაკრედიტება სხვა დროს მიღებული ჭარბი რესურსების ხარჯზე, საშუალებას იძლევა ვალუტის

¹ L.S. Copeland, Exchange Rates and International Finance, 2000. p. 67-70.

ფიქსირებული კურსის შეუცვლელად დაბალანსდეს საერთაშორისო გადასახდელები. თუ გადასახდელები დაუბალანსებლობას აქვს აშკარად ციკლური ხასიათი, სახელმწიფოს შეუძლია თავისთი რეზერვების ამოუნურად დააფინანსოს ცვალებადი დეფიციტები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სავალუტო სტრატეგიის ასეთი ვარიანტები შეიძლება ოპტიმალურად ჩაითვალოს, თუმცა, ამასთანავე, ჩვენი აზრით, შეიძლება წარმოიქმნას გაუთვალისწინებელი ვითარებებიც, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში, ძნელია დისბალანსის წარმოქმნისა და განვითარების მიზნების განსაზღვრა. თუ ოფიციალური სავალუტო კურსი ხანგრძლივ პერსპექტივაში უკვე აღარ შეესაბამება ეკონომიკურ ვითარებას, მაშინ მისი შენარჩუნება მოითხოვს არა მარტო დროებით ღონისძიებებს, არამედ ღრმა ცვლილებების გატარებას ეკონომიკურ პოლიტიკაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი დანაკარგები გარდაუვალია.

ამრიგად, დროებითი არასტაბილურობის დაფინანსების სტრატეგიის ეფექტური გამოყენება შეიძლება საგადასმდელო ბალანსის მხოლოდ კარგად პროგნოზირებადი დროებითი ცვლილებების წარმოქმნის შემთხვევაში. თუ ცნობილია, რომ ეროვნულ ეკონომიკაში მიღებული დისბალანსი დროებითი ხასიათისაა, მაშინ ქვეყანას შეუძლია მიმართოს საკუთარ სავალუტო რეზერვებს. ამ შემთხვევაში გარკვეული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ რეზერვების შემცირებამ არ იმოქმედოს შიდა ბაზარზე ფულის მიწოდების შეფერხების თვალსაზრისით და დაელოდოს რეზერვების საერთო ღონის აღდგენას მანამ, სანამ არ აღსდგება საერთო ბალანსი და ადგილი არ ექნება დადებით სალდოს; მეორე, სავალუტო კონტროლი, ანუ სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსთან ყველა სახის გარიგებების მკაცრი კონტროლი არის ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მთავრობას გადაანაწილოს სავალუტო რეზერვები. როგორც წესი, სავალუტო კონტროლის შემოღების ძირითადი მიზნია ვალუტის შესყიდვის მოწესრიგება სხვადასხვა, მათ შორის სოციალური მიზნების მისაღწევად. იმისათვის, რომ სავალუტო კონტროლი იყოს ეფექტიანი საჭიროა:

1. დაგეგმვის რთული, მრავალსაფეხურიანი სისტემის არსებობა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის ყველა თავისებურებას, მის ადგილს მსოფლიო ვაჭრობაში;

2. სავალუტო ბაზრის მონაწილეთა ინტერესებს.

სავალუტო კონტროლის გამოყენების აუცილებლობა წმინდა თეორიულად, იდეალურ ვარიანტში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ მსგავს სტრატეგიას მრავალი ნაკლოვანება აქვს, გარდა ამისა, იგი ძალზედ რთულია გამოსაყენებლად. სავალუტო სახსრების ეფექტური და რაციონალური გადანაწილების დროსაც კი, ჩვენი აზრით, საზოგადოებისათვის წარმოიქმნება მნიშვნელოვანი დანაკარგები. კერძოდ:

1. ვალუტის უკმარისობის გამო, შიდა ბაზარზე ურთიერთხელსაყრელი შეთანხმების არარსებობა;

2. სავალუტო კონტროლის სირთულე და სიმძიმე, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულებაშია ქვეყნის სიდიდესთან. თანაც, რაც უფრო რთულია სავალუტო კონტროლის მექანიზმი, მით უფრო არაეფექტური ხდება იგი. ასეთ ვითარებაში ქვეყანა განიცდის დიდ ფინანსურ დანაკარგებს;

3. მაკონტროლებელ ორგანოებსა და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არაოპერატიული და განუვითარებელი საკომუნიკაციო კავშირი, რომლის პირობებშიც სავალუტო კონტროლი ხდება არამართო დაბალეფექტიანი, არამედ მეტად უარყოფითვად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე. ეფექტიანი სავალუტო კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ დაგეგმვის რთული და ზუსტი სისტემის არსებობისას, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ ფუნდამენტური თეორიული ბაზისა და ეკონომიკური დაგეგმვისა და პროგნოზირების სფეროში დიდი პრაქტიკული გამოცდილების არსებობის პირობებში. მათი ყველა ასპექტი კი არასაკმაოდ შესწავლილი მსოფლიოს პრაქტიკაში.

2. სავალუტო ბაზარი და მისი სტრუქტურა

²სავალუტო ბაზარი არის ორგანიზაციული და ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიშობა ისეთი ოპერაციებისას, როგორებიცაა: უცხოური ვალუტის, უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფასიანი ქაღალდებისა და სხვა საგადამხდელო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვა და უცხოური ინვესტიციების მოძრაობა. სავალუტო ბაზარზე ხდება სავალუტო ღირებულებათა ინვესტორების, გამყიდველებისა და მყიდველების ინტერესთა შეთანხმება. თანამედროვე სავალუტო ბაზრები წარმოუდგენელია მაღალტექნოლოგიური საკომუნიკაციო სისტემების გარეშე. სავალუტო ბაზარი ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელება;
- სავალუტო კურსის განსაზღვრა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე;

² ი.კოვზანაძე. გ.კონტრიძე. „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ 436გ

- საერთაშორისო ბაზარზე საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მოძრაობის მომსახურება;
- სავალუტო და საკრედიტო რისკებისაგან დაზღვევა;
- მოგების მიღება.

სავალუტო ოპერაციების მოცულობიდან, ხასიათიდან და ვალუტების რაოდენობიდან გამომდინარე განასხვავებენ ლოკალურ (ნაციონალურ), რეგიონალურ და მსოფლიო (გლობალურ) სავალუტო ბაზრებს. ლოკალურ, ანუ ნაციონალურ, სავალუტო ბაზრებზე ხდება სავალუტო გარიგებების განხორციელება შეზღუდული მოცულობით და შეზღუდული ვალუტების ჩამონათვალით და აკმაყოფილებს ერთი კონკრეტული ქვეყნის მოთხოვნილებას. ლოკალური სავალუტო ბაზარი წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური ბაზრის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აქტიურად ურთიერთობს სხვა ბაზრებთან. რეგიონალურ სავალუტო ბაზრებზე ხდება კონვერტირებადი ვალუტების გარკვეული სპექტრის გარიგებები და ძირითადად აკმაყოფილებს რამდენიმე ქვეყნის მოთხოვნას. საერთაშორისო ბაზარი შედგება მრავალი ეროვნული (ლოკალური) და რეგიონალური ბაზრისაგან, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ხელშეწყობით ერთიან გლობალურ სავალუტო ბაზრად ჩამოყალიბდა. ზოგადად, თანამედროვე სავალუტო ბაზარი წარმოადგენს რთულ და მეტად დინამიკურ ფინანსურ სისტემას, რომელშიც ჩართულია მთელი მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიო სავალუტო ბაზარი მუდმივად ვითარდება, რთულდება, იხვეწება და ესადაგება მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებს, ახალ გარემოებებსა და ციკლებს. რეალურად, თანამედროვე მსოფლიო სავალუტო ბაზარმა განვლო გზა ლოკალური სავაჭრო ცენტრებიდან ერთიან საერთაშორისო სავალუტო ბაზრამდე. ეს პროცესი შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გარეშე. საერთაშორისო სავალუტო ბაზრის განვითარებას თან ერთად სრულყოფილი

³ ი.კოფმანდიე, გ.კონტრიძე, „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ 436გ-437გ

ხდება სავალუტო ოპერაციები, ჩნდება ახალი სახეობები, იხვეწება მათი განხორციელების ტექნიკა. სავალუტო ბაზარი არსებობს და ვითარდება ისეთ ბაზრებთან მჭიდრო კავშირით, როგორებიცაა: სასესხო კაპიტალის, ფასიანი ქაღალდებისა და სასაქონლო ბაზრები, თუმცა, მათგან განსხვავებით, სავალუტო ბაზარი რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

- მას არ აქვს მკაფიოდ გამოხატული გეოგრაფიული საზღვარი;
- მის მუშაობაში მონაწილეობა შეუძლია განუსაზღვრელად დიდი ოდენობის მსურველს;
- იგი ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში (24 საათის განმავლობაში);
- იგი ხასიათდება ლიკვიდობის ძალიან მაღალი ხარისხით. სავალუტო ბაზრის მონაწილეებიდან ზოგიერთი სავალუტო ოპერაციებს ახორციელებს მხოლოდ⁴საკუთარი მიზნებისათვის, ზოგიერთი – მხოლოდ კლიენტების დაკვეთით, ხოლო ზოგიერთისათვის ორივეა დამახასიათებელი.სავალუტო ბაზრის მონაწილეები არიან:
- ცენტრალური ბანკები;
- კომერციული ბანკები;
- ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით დაკავებული კომპანიები;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები;
- სავალუტო ბროკერები;
- სავალუტო ბირჟები;
- ფიზიკური პირები.

სავალუტო ბაზრის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს ბანკთაშორისი ბაზარი. ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი იყოფა ორ ძირითად სახეობად: საბირჟო და ბირჟისგარეშე. სავალუტო ბაზრის საბირჟო სექტორზე სავალუტო ოპერაციები ხორციელდება სავალუტო ბირჟებისა და სავალუტო აუქციონების მეშვეობით. სავალუტო ბირჟა – ესაა სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის

⁴ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ 437გ

ელემენტი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია უცხოური ვალუტის ვაჭრობის ორგანიზებასთან. ესაა ადგილი, სადაც ხდება კონვერტირებადი ვალუტების ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ჩამოყალიბებული ფასების შესაბამისობის მიხედვით. სავალუტო ბირჟისათვის დამახასიათებელია კლასიკური საბირჟო ვაჭრობის ყველა ელემენტი. სავალუტო ბირჟა, როგორც ორგანიზაცია, მეტწილად ისწრაფვის არა მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ, არამედ დროებით თავისუფალი სავალუტო რესურსების მობილიზაციისაკენ, გადანაწილებისა და ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრისაკენ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. ეს პროცესი ემყარება საბაზრო, ⁵სამართლიან პრინციპებს. სავალუტო ბირჟის უმთავრესი დანიშნულება მაინც ეროვნული ვალუტის ყოველდღიური ოფიციალური კურსის დადგენაა სხვა უცხოური ვალუტების მიმართ.

საქართველოში პირველი ორგანიზებული სავალუტო ბირჟა 1993 წელს იქმნება „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ სახით, რომლის დამფუძნებლებად მოგვევლინნენ საქართველოს ეროვნული ბანკი და წამყვანი კომერციული ბანკები. 1995 წლის ბოლოს საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის შემდეგი განვითარების, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების საბანკო სისტემაში მოქცევისა და ეროვნული ფულადი ერთეულის შიდაკონვერტირებადობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნა ქმედითი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ყველა ორგანიზაციას უცხოური ვალუტის საბუღალტრო აღრიცხვა უნდა ეწარმოებინა „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ სავაჭრო სესიებისშედეგების საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული სავალუტო კურსით. ამგვარად, „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა“ ორი მთავარი ფუნქციით იქნა აღჭურვილი: ერთი მხრივ, ხდებოდა უნაღლო ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები კომერციულ ბანკებსა და საქართველოს

⁵ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე, „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ 437გ

ეროვნულ ბანკს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ გარიგებათა შედეგად დადგენილი კურსი ცხადდებოდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების ოფიციალურ კურსად მეორე საბანკო დღისათვის. მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ თანდათან შეამცირა ნაციონალური სავალუტო ბირჟების როლი სავალუტო კურსების დადგენისას და წინა პლანზე სადღეღამისო სავალუტო ბაზრები და ინფორმაციის საერთაშორისო გლობალური წყაროები გამოვიდნენ. დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველ ეტაპზე (2009 წლის მარტიდან) შემოღებულ იქნა სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმი – „სავალუტო აუქციონები. ამის შემდეგ, მაისიდან, „თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის“ გაუქმების შედეგად, სავალუტო აუქციონები ეროვნული ბანკის მხრიდან საბანკო სისტემაში სავალუტო ინტერვენციების ერთადერთ საშუალებად იქცა, ხოლო კომერციულმა ბანკებმა მათი მეშვეობით დაიწყეს უნაღდო ფორმით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის სავალუტო აუქციონი წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც იგი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. მისთვის სავალუტო აუქციონის მიზანია საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსება, კაპიტალის დროებითი ჭარბი შემოდინების გაცვლით კურსზე ზეგავლენის აღმოფხვრა და სხვ. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციის საჭიროება წარმოიშობა მთავრობის უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების შედეგად. ვინაიდან ეროვნული ბანკი წარმოადგენს მთავრობის ბანკირს, მთავრობის ანგარიშები გახსნილია ეროვნულ ბანკში. აქედან გამომდინარე, მთავრობის უცხოური შემოდინებები და გადინებები პირდაპირ ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშიდან ხორციელდება და არ ხვდება სავალუტო ბაზარზე. ამის გამო, ქვეყნის დაბალანსებული საგადამხდელი ბალანსის

⁶ ი.კოფჩანაძე, გ.კონტრძიე, „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ 438გ

მიუხედავად, შესაძლებელია არსებობდეს საგარეო უარყოფითი სალდო კერძო სექტორში და, ამავდროულად, სახელმწიფო დადებითი სალდო. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ამ განსხვავებების დასაბალანსებლად მოახდენს სავალუტო ინტერვენციას გაყიდვის მიმართულებით და პირიქით. 2009 წელს ეროვნული ბანკის ინიციატივით საქართველოში ბანკთაშორის სავალუტო აუქციონების ჩასატარებლად დანერგილ იქნა ცნობილი „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემა“, რომლის ინფრასტრუქტურა აადვილებს ბანკების შიდა კომუნიკაციას და ხელს უწყობს ბანკთაშორის სავალუტო (და ამავდროულად ფულადი ბაზრის) განვითარებას. „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის“ გამოყენებით ვაჭრობის უფლებით სარგებლობენ საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკები და უცხოური ბანკების ფილიალები. მათ შეუძლიათ გარიგებების დადება სხვა მონაწილე ბანკთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან. სავაჭრო სისტემაში შესაძლებელია სპოტ, ფორვარდული და სვოპ სავალუტო გარიგებების დადება. ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების შესახებ ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდება ეროვნული ბანკისათვის,

3. სავალუტო დილინგი

3.1 სავალუტო ვაჭრობის საფუძვლები

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყანაში განვითარებული სავალუტო კრიზისი და აქედან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებანი, მიმართულნი ქართული სავალუტო ბაზრის დასაცავად, სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში აქცევს სავალუტო ოპერაციათა ტექნიკისა და სავალუტო ბაზრის მექანიზმის თანამედროვე პრობლემურ საკითხებს.

დილინგი, როგორც ურთულეს ეკონომიკურ პროცესთა ერთობლიობა, მიზნად ისახავს რთული და მერყევი კონიუნქტურული სიტუაციის დროს ფირმების, ბანკების. და მოსახლეობის კუთვნილი თანხების შენარჩუნებას, მათ დაცვას ინფლაციისა და კურსების ხშირი ცვალებადობისაგან.

სავალუტო დილინგი, როგორც დილინგის ერთ - ერთი სახე მსოფლიო საზოგადოების ცენტრში 70 - იან წლებში მოექცა. დღეისათვის საქართველოში შექმნილი სიტუაცია მსგავსია იმისა, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა ბრეტონ - ვუდსის სავალუტო სისტემის გაუქმებისა და თავისუფალ მცურავ კურსებზე გადასვლის შემდეგ.

ბანკების მიერ განხორციელებული ოპერაციები შეიძლება დაიყოს საკონვერსიო და სადეპოზიტო - საკრედიტო ოპერაციებად. საკონვერსიო ოპერაციებს არ ახასიათებთ დროში ხანგრძლივობა. მაშინ როდესაც სადეპოზიტო ოპერაციები განიმარტებიან, როგორც თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსების მოკლევადიან ოპერაციათა ერთობლიობა, განხორციელებული სხვადასვა ვადით და პირობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის მოკლევადიან ლიკვიდობას და მიმართულნი არიან მოგების მისაღებად.

ვადიან გარიგებებს, რომლებიც გამოიყენება ძირითადად ორი მიზნისთვის: შეჯერებასა და სპეკულაციისათვის საქართველოში ჯერ - ჯერობით არ ექცევა სათანადო ყურადღება. სპეც ოპერაციებზე კონცეტირებული ოპერაციები სავალუტო ბაზრის ნორმალური განვითარების საშუალებას ნამდვილად ვერ უზრუნველყოფენ. არადა სპეკულაციურ გარიგებათა მოცულობა მსოფლიოში განუხრელად იზრდება.

სავალუტო ბაზარზე გარიგებათა უმრავლესობა ძირითადად ხორციელდება მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკების მეშვეობით, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება DEUTCHE BANK, BARKLAUS BANK, UNION BANK OF SWITZERLAND, CHASE BANK და ა.შ.

ნებისმიერმა დაინტერესებულმა კომერციულმა ბანკმა უნდა შეიმუშავოს სადღილი სფეროში ოპერაციათა წარმოების პოლიტიკა, განსაზღვროს ღია სავალუტო პოზიციის ზღვრული ლიმიტები და ზარალის შემთხვევაში ამ უკანასკნელის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა.

სავალუტო ოპერაციებზე დასპეციალიზებულ ქართულ ბანკებს საშუალება ექნებათ გამოვიდნენ სავალუტო ბროკერთა როლში. ამ ამჟღაში ისინი დიდი სავალუტო რეზერვების არქონის გამო მართალია აქტიურად ვერ იმოქმედებენ სავალუტო კურსის სიდიდეზე, მაგრამ აპრობირებული პოზიციის დაცვით შეძლებენ

მყიდველისა და გამყიდველის ერთმანეთთან თანხვედრას, რისთვისაც მიიღებენ სოლოდურ მოგებას საკომისიოს სახით. სავალუტო აუქციონებით მართული ქართული სავალუტო ბაზარი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ადვილად მართვად მექანიზმს წარმოადგენს. სავალუტო ბაზრისადმი მიდგომაში სერიოზული გარდატეხების აუცილებლობა სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიასა და რუსეთში განვითარებულმა კრიზისებმაც უჩვენეს. აუცილებელი ხდება აუქციონის ტიპის ურთიერთობათა, ბანკთაშორისი ვაჭრობით შეცვლა.

სავალუტო კურსის ფორმირების ტენდენციაზე თავის გავლენას „შავ ბაზრად“ წოდებული ფულადი ბაზარიც ახდენს. ამ სფეროს ერთგვარი დამოუკიდებლობა საკმაოდ მოჩვენებითია და საფინანსო - საკრედიტო ინსტიტუტების მძლავრ გავლენას განიცდის.

სავალუტო ბაზრის მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს ხელისუფლების ამკარა ჩარევას მიმდინარე პროცესებში, რაც თავის მხრივ ზღუდავს კომერციულ ბანკების ინტერესს და სურვილს სადილინგო ოპერაციათა განვითარებაზე. ყოველივე ეს კი არა მარტო ამცირებს შიდა მომგებიან ოპერაციათა მოცულობას, არამედ უსპობს ბანკებს გაფართოებისათვის აუცილებელ თავისუფალი სახსრების გაფართოების შანსს.

ამ პროცესებში ორიენტაციის სისწორის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია საბანკო ან საფინანსო ჯგუფი ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას იმ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომლის ვალუტაზეცაა ორიენტირებული მოცემული ჯგუფი. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება ანალიზისა და პროგნოზირების ძლიერი ჯგუფების ჩამოყალიბების აუცილებლობა. და ბოლოს, ამ პროცესებში მონაწილეობისას მთავრია შენარჩუნებულ იქნას ვიწრო სპეციალიზაცია და ბანკის სპეციალისტები არ გაერთონ

წმინდა სასაქონლო ოპერაციებით, რამეთუ ასეთი მოქმედება თანდათან გამოიწვევს ბანკის ჩამოშორებას სავალუტო ბაზრიდან.

სავალუტო ბაზარი ეს არის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტების ურთიერთგაცვლის მიზნით შექმნილი ორგანიზაციულ-ინსტიტუციური სისტემა. სავალუტო ბაზარზე, სასაქონლო ბაზრის მსგავსად, მოქმედებს ორი ფაქტორი: მოგების მაქსიმიზაცია და კონკურენცია. სავალუტო ბაზრის აგენტები, ეკონომიკის სხვა სფეროში მოღვაწე აგენტების მსგავსად, ცდილობენ მიაღწიონ თავიანთი შემოსავლების მაქსიმიზაციას. სავალუტო ბაზარზე მოგება განისაზღვრება პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების ურთიერთშეხამებით, მაგრამ სავალუტო გარიგების მონაწილე მხარეები გარე ფაქტორთა ცვლილებაზე ისევე რეაგირებენ, როგორც ჩვეულებრივი ბაზრის მონაწილეები. ამასთან კონკურენცია მოქმედებს ყველა ბაზარზე. კონკურენცია არსებობს, სავალუტოსაკრედიტო ბაზარზეც. ამიტომ სავალუტო ბაზრის ანალიზისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება კონკურენციის კანონებს. იმავედროულად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სავალუტო ბაზარი ყოველთვის არ ემორჩილება კონკურენციის კანონს. სავალუტო ბაზარზე მონოპოლიების, ოლიგოპოლიების და კარტელების არსებობა არ შეესაბამება მოთხოვნა-მიწოდების ჩვეულებრივ მექანიზმს და მაინც ასეთი შემთხვევები იშვიათობაა. საერთო ჯამში სავალუტო ბაზარზე შენარჩუნებულია კონკურენციული პირობები. მაგრამ სასაქონლო ბაზრებთან შედარებით, სავალუტო ბაზრის თავისებურებას წარმოადგენს ეროვნული ვალუტების არსებობა. თუ სასაქონლო ბაზარზე ერთი მოვაჭრე მხარე გამოდის ფულით, მეორე კი – საქონლით, სავალუტო ბაზარზე ორივე მოვაჭრე მხარეს ხელთა აქვთ ვალუტა და ერთი ვალუტა იცვლება მეორე ვალუტაზე. სავალუტო ბაზრის უმთავრეს სპეციფიკას წარმოადგენს სწორედ ეროვნული სავალუტო სისტემების არსებობა. ვალუტა იტალიური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ფასს, ღირებულებას. ვინრო გაგებით ვალუტა ქვეყნის ფულადი ერთეულია, რომელშიც იგულისხმება

სახელმწიფოს ფულადი ნიშნები, ხოლო ფართო გაგებით კი საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში ვალუტა საერთაშორისო ანგარიშსწორების უმთავრესი საშუალებაა. ერთი ქვეყნის ვალუტის გაცვლას მეორე ქვეყნის ფულად ერთეულზე სავალუტო ვაჭრობა ეწოდება. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობაში ვალუტა იგივე როლს ასრულებს, რა როლსაც ასრულებდა ფულის ერთეული ეროვნულ ეკონომიკაში. სავალუტო ბაზარზე

გაცემული ფულადი აქტივების უმეტესი ნაწილი დეპოზიტების სახისაა ურთიერთმოვაჭრე წამყვან ბანკებში. სავალუტო ვაჭრობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის მონეტებით ვაჭრობასა და ნაღდი ფულის გაცვლაზე. ყოველი ქვეყნის

ეროვნული ვალუტის ფასს, გამოსახულს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში სავალუტო კურსი ეწოდება.. ხოლო სავალუტო კურსის დადგენას კი კოტირება ეწოდება.. კოტირება წარმოებს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე.

თანამედროვე მაღალინტენსიონალიზებულ მსოფლიოში ყოველდღე ქვეყნდება ვალუტის კურსი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. არსებობს სავალუტო კურსის დადგენის ორი მეთოდი:

1. პირდაპირი კოტირება, როცა ეროვნული ვალუტის კურსი დგინდება უცხოურ ვალუტაში;
2. უცხოური ვალუტის ფასი,

გამოსახული ეროვნულ ვალუტაში, ანუ `ირიბი კოტირება` მაგალითად, 1 დოლარი ღირს 1,67 ლარი, ეს იგივეა, რაც 1 ლარი ღირს $1/1,67 = 0,6$ დოლარი. ამრიგად, ვალუტის კურსი შეიძლება დადგინდეს, როგორც ერთი, ისე მეორე მეთოდით. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ორივე მოვაჭრე მხარეს გააჩნია ეროვნული ფულადი ერთეულები, განსხვავებით სასაქონლო გარიგებისაგან, სადაც თუ ერთ მოვაჭრე მხარეს გააჩნია ფული, მეორე მხარეს გააჩნია საქონელი და მომსახურება (მაგ., 1 ბარელი ნავთობი უდრის 120 აშშ. დოლარს). ამ ორი მეთოდის არსებობის გამო, გაუგებრობის

თავიდან ასაცილებლად სავალუტო კურსი განიხილება, როგორც უცხოური ვალუტის ფასი, გამოსახული ეროვნულ ვალუტაში—ანუ პრაქტიკაში გამოიყენება ირიბი კოტირების მექანიზმი. ყოველი ქვეყნის ცენტრალური ბანკი ახდენს ეროვნული ვალუტის კოტირებას და უჩვენებს თუ რა სავალუტო კურსის მიხედვით აპირებს ეს ქვეყანა ვალუტით ვაჭრობას თავის პარტნიორებთან. ნებისმიერი ბანკი, რომელიც ცდილობს საუკეთესო კურსით მოახდინოს გარიგება, პირველ რიგში კომპიუტერში ეცნობა უკანასკნელ კოტირებებს. თუ მან აღმოაჩინა ხელსაყრელი კურსი, ტელეფონით უკავშირდება ამ ვალუტის მფლობელ ბანკს და აფორმებს ხელშეკრულებას ვალუტების გაცვლის შესახებ. ამის შემდეგ სწრაფად გვარდება ფორმალური მხარეები და გარიგება იდება. პოტენციურ, ნდობით აღჭურვილ პარტნიორებს შორის გარიგება იდება ზეპირი შეთანხმების საფუძველზეც, მაგრამ თუ შეიქმნა აუცილებლობა, ფორმდება ოფიციალური დოკუმენტაცია (ხელშეკრულებაც).

3.2 უცხოური ვალუტით ბანკთაშორისი ვაჭრობა

სავალუტო ბაზარი იქმნება ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კავშირგაბმულობის პროგრესული საშუალებების (სატელეფონო ხაზების, რადიოსიგნალების, კომპიუტერული ქსელების, კოსმოსური არხების, მობილური და სხვასისტემების.) მეშვეობით ურთიერთდაკავშირების შედეგად. ასე რომ, სავალუტო ბაზრის ფუნქციონირება სულაც არ საჭიროებს მყიდველთა და გამყიდველთა უშუალო გამოცხადებას, მათ ფიზიკურ თავმოყრას (ფულის საერთაშორისო ბაზრის გამოკლებით). გამოცდილი დილერები ზიან სავალუტო ბაზარზე თავიანთ სამუშაო მაგიდებთან (ბანკებში) და უკავშირდებიან ერთმანეთს კავშირგაბმულობის საშუალებებით. კომპიუტერი აჩვენებს ყველა ძირითადი ვალუტის კურსს (კროსკურსს) იმ თარიღის მინიშნებით, როცა უნდა მოხდეს გარიგება. ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე სავალუტო ვაჭრობაში მონაწილეობენ მსხვილი აგენტები, რომლებიც აწარმოებენ

არანაკლებ 1 მლნ. დოლარის ღირებულების სავალუტო გარიგებას. ნებისმიერი ბანკის ფინანსური მოგება, ან ზარალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ბანკში დასაქმებულ მუშაკთა მიერ ფინანსური ოპერაციების ოპტიმალურად წარმართვის სისწრაფეზე. ისინი ვინც ზანტად რეაგირებენ მოვლენებზე (მაგალითად, ამა თუ იმ ქვეყანაში ფულის მასის სწრაფი ზრდის, სამხედრო თავდასხმის, გაფიცვების, ან სხვათა შესახებ), ყოველთვის ზარალდებიან. პროფესიონალებმა საშუალოდ უფრო მეტი ფული უნდა გააკეთონ, ვიდრე დაკარგონ. მათი მოგება მინიმუმ იმდენი უნდა იყოს, რომ მიღებული შემოსავალი გამართლდეს, როგორც ხელფასის რანგში. ნებისმიერი ბანკი წააგავს ერთგვარ `ხომალდს`, სადაც ადგილი არა აქვს ისეთ მგზავრს, რომელსაც არ შეუძლია დროის ხანმოკლე ინტერვალში დიდი მოგების მიღება. თანამედროვე სავალუტო ბაზრები მსოფლიო მნიშვნელობისაა, რომელიც დროის ნებისმიერ მომენტში, პლანეტის ნებისმიერ კონტინენტსა და ქვეყანაში კავშირს ამყარებს ვალუტის მყიდველსა და გამყიდველს შორის. სავალუტო ბაზრის კლირინგული მომსახურება. თანამედროვე სავალუტო ვაჭრობის მოცულობა უზარმაზარია და მომავალში მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო მეტად ზრდა, ეს მაშინ, როცა ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ათასს აღწევს. კომპანიები, ფიზიკური, თუ იურიდიული პირები ვალუტით ვაჭრობენ სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგიერთი მათგანი ეწევა საქონლისა და მომსახურების გაცვლას და ამისათვის ესაჭიროება ამათუიმ ქვეყნის ვალუტა, რისთვისაც ყიდის ეროვნულს, ან პირიქით დაუგროვდებათ უცხოური სავალუტო ამონაგები და სურთ შეიძინონ ეროვნული ვალუტა. სავალუტო ბაზარი მათთვის ეწევა კლირინგულ მომსახურებას და ეხმარება თითოეულ მხარეს გარიგების ბოლოს ხელთ ჰქონდეს მისთვის სასურველი ვალუტა. სავალუტო ბაზარი ასევე აზღვევს თავის მონაწილეებს იმით, რომ ეხმარება მათ წმინდა აქტივებისა და პასივების თავიდან აცილებაში. იგი ასევე იძლევა `სპეკულირების` საშუალებას ვალუტის შეძენისას, თუ გაყიდვისას, ფასის მოსალოდნელ ცვლილებებზე

ორიენტირებით. სავალუტო ბაზარი უზრუნველყოფს კერძო კლიენტებს და საქმიან წრეებს კლირინგული მომსახურებით. ტურისტები სავალუტო ბაზარს აწყდებიან ჯერ კიდევ აეროპორტებში, სადაც ისინი მიმართავენ ვალუტის გადასაცვლელ ბიუროს მიმღები ქვეყნის ეროვნული ვალუტის შეძენის მიზნით. თითოეული ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მიზნით წარმოებული სავალუტო გარიგებანი წარმოადგენს ამ ქვეყნის ვალუტის კურსის (ფულადი ერთეულის ღირებულების) განსაზღვრის საფუძველს. ქვეყნის სამამულო საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ზრდის ეროვნულ ვალუტაზე არსებულ მოთხოვნას, რითაც აუმჯობესებს მის სავალუტო კურსს და ზრდის უცხო-ური ვალუტის მიწოდებას. ასე მაგ., ვთქვათ საქართველომ რუსეთს მიჰყიდა 1 მლნ. ლარის ღირებულების ციტრუსი, მაშინ რუსეთის მხარე გაყიდის თავის ვალუტას – რუბლს – ერთი მილიონი ლარის შესაძენად. თუ რუსეთის მხარე ფულს იხდის რუბლებში – ჩეკის გამოწერით, მაშინ ქართულმა მხარემ, ან ბანკში უნდა გახსნას ანგარიში რუბლებში, ან იგი უნდა გაყიდოს ლარებზე. თუ ქართული მხარე მკაცრად მოითხოვს, რომ ანაზღაურება მიიღოს მხოლოდ ლარებში, მაშინ რუსეთის მხარე იძულებული იქნება თვითონ გამონახოს ლარის შეძენის გზები. ორივე შემთხვევაში ქართული პროდუქციის ექსპორტი ზრდის უცხოური ვალუტის (ჩვენს შემთხვევაში რუბლის) მიწოდებას და ეროვნულ ვალუტაზე -- ლარზე მოთხოვნას, რადგანაც უცხოელი მყიდველი, როგორც წესი, ფულს ყოველთვის იხდის თავის ვალუტაში (რუბლებში), ხოლო ქართველ ექსპორტიორს კი გარიგების ბოლოს ყოველთვის, როგორც წესი, რჩება ეროვნული ვალუტა – ლარი. მხოლოდ ქართველ მხარეს თუ მოესურვება გარიგების ბოლოს დარჩეს უცხოური ვალუტა, ან უცხოელ მყიდველს თუ გააჩნია ლარის კუპიურების საკმაო მარაგი, მაშინ ამგვარი სავალუტო გარიგება ვერ შექმნის მოთხოვნას ლარზე და უცხოური ვალუტის დამატებით მიწოდებას. საქონლისა და მომსახურების იმპორტი კი – პირიქით, ზრდის ეროვნული ვალუტის მიწოდებასა და უცხოურ ვალუტაზე არსებულ მოთხოვნას. ვთქვათ, საქართველო

ახდენს 1 მლნ. ლარის ღირებულების რუსული ავტომობილების იმპორტს. მაშინ ქართველ იმპორტიორს დასჭირდება 1 მლნ. ლარის გაცემა, რუსული რუბლის შეძენის მიზნით. თუ ქართველ იმპორტიორს უფლება აქვს თანხა გადაიხადოს ლარებში, მაშინ რუსეთის ავტომობილების ექსპორტიორების წინაშე დადგება 1 მლნ. ლარის გაყიდვის საკითხი, რათა მიიღოს რუსული რუბლი, თუ მათ სურთ სავალუტო ოპერაციების დასასრულს გააჩნდეთ მხოლოდ რუბლი. თუ რუსეთის ექსპორტიორი მკაცრად მოითხოვს, რომ მას თანხები გადაუხადონ მხოლოდ რუბლში, მაშინ ქართველი იმპორტიორი იძულებული გახდება გავიდეს სავალუტო ბაზარზე ლარის რუბლზე გასაცვლელად. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, საქონლისა და მომსახურების იმპორტი ქმნის მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე და ზრდის ეროვნული ვალუტის მიწოდებას. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართველი იმპორტიორი ფულს იხდის ლარებში, ხოლო უცხოელი ექსპორტიორი კი ანაზღაურებას ითხოვს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში. ამრიგად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ მენარმეს ექნება სურვილი გააჩნდეს თანხები იმპორტიორი ქვეყნის ვალუტაში, ან იმპორტიორს გააჩნია უცხოური ვალუტის დიდი მარაგი, მაშინ იმპორტი არ გამოიწვევს ეროვნული ვალუტის მიწოდებისა და უცხო ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას. სავალუტო ბაზრის მონაწილეები, სავალუტო ოპერაციების წარმართვის მიზნით, მიმართავენ თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ბანკს, რომელიც, თავის მხრივ, აწარმოებს ვალუტის გაცვლას ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მომუშავე სავალუტო ბროკერების მეშვეობით. ჩვენს მაგალითში, ქართველი ექსპორტიორი, რომელიც ციტრუსს ჰყიდის ლარებში, ავალდებულებს რუს იმპორტიორს გადაუხადოს რუსული რუბლი ქართულ ბანკს. ეს ბანკი, გაცემს რუსულ რუბლს იმ ბანკებზე, რომელთაც გააჩნიათ ლარის დიდი მარაგი და სურთ შეიძინონ რუსული რუბლი. სპეციალური საფინანსო ტერმინოლოგიით, მოცემული სავალუტო ოპერაციები აღიწერება შემდეგნაირად: `პროდუქციის ექსპორტიორი `გამოწერს თამასუქს` უცხოეთში და `ჩარიცხავს` მას ეროვნულ ბანკში, რომელიც `გადარიცხავს` ამ

თანხებს და მიღებულ შემოსავლებს `უნვეს რეპატრირებას` სავალუტო ბაზრის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სავალუტო ოპერაციები შეადგენს სავალუტო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს და სავალუტო კურსის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, იგი მაინც არ წარმოადგენს სავალუტო საქმიანობის ერთადერთ ფორმას, რომელსაც შეეძლებოდა სრულად განესაზღვრა ვალუტაზე მოთხოვნა და მიწოდება. მაგ., კერძო დილერებს შეუძლიათ თავად შექმნან მოთხოვნა რუბლზე,

3.3 კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციების სახეობები

დაზღვევის საპირისპირო სავალუტო ოპერაციას წარმოადგენს სპეკულაცია. სავალუტო სპეკულაცია ეწოდება უცხოური ვალუტით წმინდა აქტივების (`გრძივი` პოზიცია), ან წმინდა პასივების (`მოკლე` პოზიცია) ღია პოზიციების შენარჩუნებას. სპეკულაცია ნიშნავს ისეთ სავალუტო ვალდებულებათა საკუთარ თავზე აღებას, რომელთა სამომავლო ღირებულებაც ადგილობრივი ვალუტით განუსაზღვრელია. იგი ემყარება უცხოური ვალუტის სამომავლო ფასის მოლოდინზე აგებულ შეგნებულ გაანგარიშებებს. სპეკულიანტები საზოგადოების ის ნაწილია, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი მომხვეჭელობით. მათი მოქმედება სრულიად ამოუცნობია და ისინი ეკონომიკაში ხელს უწყობენ ქაოსის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, სპეკულიანტები ითვლებიან ეკონომიკური არეულობის გამომწვევ მიზეზად., სპეკულიანტები შუა ეკონომიკურ `ქარცეცხლში` გამოჩნდებიან ხოლმე. სანამ ეკონომიკა არ გამოვა წონასწორობიდან და უკონტროლო არ გახდება, მანამდე სპეკულიანტები შეუმჩნეველნი არიან. თუმცა სპეკულაცია წარსულში მართლაც თამაშობდა მადესტაბილიზირებელ როლს, მაგრამ ძალზე ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენჯერ და როდის მოხდა ეს. სპეკულიანტად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც ხსნის ღია

პოზიციას უცხოური ვალუტით, მიუხედავად მისი მოტივისა და სავალუტო კურსის სამომავლოდ მოსალოდნელი ცვლილებისა. სავალუტო ბაზარი ვალუტით ვაჭრობის ნებას რთავს, როგორც სპეკულიანტებს, ისე ჰეჯერებს, რადგანაც არ არსებობს სავალუტო ბაზრის მონაწილეთა ამ ორი კატეგორიის მკაცრი დიფერენცირების შესაძლებლობა. ქართულ როკ-ჯგუფს, რომელმაც ამერიკაში გამოიმუშავა 100 000 დოლარი, შეუძლია არა მარტო დააზღვიოს თავისი კაპიტალი, არამედ მოახდინოს მათი სპეკულაცია: აღნიშნული თანხა 3 თვის განმავლობაში შეინახოს ამერიკულ ბანკში, სადაც იგი გამოიმუშავებს `პროცენტებს` და ლარები შეიძინოს 3 თვის შემდეგ. უკვე შეცვლილი განახლებული სავალუტო კურსით (სარგებლის განაკვეთის სახით მიღებული ნამატი შემოსავლების ჩათვლით). სავალუტო ბაზარზე ამა თუ იმ უცხოური ვალუტით სპეკულაცია დამოკიდებულია ეროვნული და უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთთა და სავალუტო კურსთა მოსალოდნელ ცვლილებაზე. ვთქვათ დოლარის საპროცენტო განაკვეთია 4 %, ლარის კი -- 3 %. მაშინ ქართულ როკ-ჯგუფს შეუძლია მოახდინოს 4 %-იანი ინვესტირება ამერიკაში და 3 თვის შემდეგ აიღოს 112 ათასი დოლარი, ან შეიძინოს 100 ათასი აშშ. დოლარით 165 ათასი ლარი და მოახდინოს 3 %-იანი ინვესტირება. ($165 \times 1,09 = 179,85$ ათასი ლარი). რომელია უკეთესი: ფლობდე 112 ათასი დოლარს, თუ 179,85 ათასი ლარს. ეს დამოკიდებულია ლარსა და დოლარს შორის სამომავლო სავალუტო კურსზე უახლოესი 3 თვის განმავლობაში. თუ ჯგუფი ინფორმირებულია, რომ დოლარის სამომავლო კურსი ლართან მიმართებაში არ შეიცვლება, მაშინ ცხადია, იგი ფულს დააბანდებს 4%-იან ამერიკულ ბანკში და მიიღებს $112 \text{ ათასი} \times 1,65 = 184,8$ ათას ლარს, რაც 3%-ით მეტია იმაზე, რასაც ჯგუფი აიღებდა ფულის საქართველოში შენახვით. დოლარის კურსის გამყარების შემთხვევაში (ვთქვათ 1 დოლ = 2 ლარს), ეს მოგება კიდევ უფრო გაიზრდებოდა. მაგრამ თუ დოლარის კურსი დაეცა (ვთქვათ 1 დოლ = 1,5 ლარს), მაშინ ფულის ამერიკაში შენახვა წამგებიანი გახდება ჯგუფისათვის, რადგანაც ამ კურსით ჯგუფი აიღებს $1,12 \times 1,5 = 168$ ათას ლარს, რაც 11,85

ათასი ლარით ნაკლებია იმ თანხასთან შედარებით, რასაც ჯგუფი აიღებდა ამ თანხის საქართველოში დაბანდების შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი შრომა-გარჯის გარეშე. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სპეკულიაციური ოპერაციებიდან მიღებული მოგება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება ეროვნული და უცხოური ვალუტების განაკვეთებს შორის სხვაობა. სავალუტო ბაზარი მხოლოდ შანს აძლევს მათ, ვისაც უყვარს რისკის განწევა.

სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის კომერციულ ბანკებში შექმნილია სპეციალური სამსახურები, რომელთაც მეტწილად მოიხსენიებენ „ხა- ზინად“. არცთუ შორეულ წარსულში ისინი იწოდებოდნენ სავალუტო ოპერა- ციების განყოფილებებად, სამმართველოებად და ა. შ. კომერციული ბანკების ხაზინის სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომლებს დილერები ეწოდებათ და ისინი ოპერირებენ როგორც სავალუტო, ისე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, და ასრულებენ კლიენტების დავალებებს და ახორციელებენ ბანკის საკუთარ თუ სპეკულიაციურ ოპერაციებს. როგორც ამ თავის პირველ პარაგრაფში აღინიშნა, გვაქვს სავალუტო გა- რიგების სამი ძირითადი სახეობა:

- 1) სპოტ გარიგება;
- 2) ვადიანი სავალუტო გარიგება;
- 3) სვოპ ოპერაცია.

სხვადასხვა სავალუტო ოპერაციის ჩატარების დროს გარიგების ტიპის არჩევა რიგ გარემოებებსა და ფაქტორებზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივი, სპოტ გარიგებისგან განსხვავებით, ვადიანი სავალუტო გარიგებები და სვოპ ოპერაციები იძლევიან სავალუტო კურსის ნეგატიური ცვლილებებისგან თავის დაზღვევის შესაძლებლობას, რადგან მომავალში შესასრულებელი სავალუტო ოპერაციის გაცვლითი კურსი დაფიქსირებულია კონტრაქტის დადებისთანავე და არ იცვლება კონტრაქტის ვადამდე, ანუ ესაა სავალუტო რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლებიც აზღვევენ ბიზნესის მომავალ სავალუტო ფულად ნაკადებს სავალუტო რისკისაგან. დავახასიათოთ

სავალუტო ოპერაციების ზემოაღნიშნული სამი ძირითადი სახეობა:

1) **სპოტ ოპერაციები** – ესაა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებების ტიპი, ვალუტის არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღეს მიწოდების პირობით. სპოტ გარიგებები არის სავალუტო ოპერაციების ყველაზე მობილური საშუალება, რომლის მეშვეობითაც კომერციული ბანკები ახდენენ საკუთარი და კლიენტების სავალუტო სახსრების მოთხოვნილებათა ოპერატიულ დაკმაყოფილებას. ვალუტის შესაბამის ანგარიშებზე ჩარიცხვის თარიღს „ვალუტირების თარიღს“ უწოდებენ. იმის მიხედვით, თუ როდის ხდება ვალუტის მიწოდება, ანუ ვალუტირების თარიღის მიხედვით, სპოტ ოპერაციებში იგულისხმება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების სამ ტიპი:

- გარიგება TOD (ინგლისური სიტყვიდან today – დღეს), რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების დღეს;
- გარიგება TOM (ინგლისური სიტყვიდან tomorrow – ხვალ), რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების მომდევნო სა-ბანკო დღეს;
- გარიგება, რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება გარიგების დადების მეორე საბანკო დღეს.

ასეთი ოპერაციები ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც სპოტ გარიგებები, ხოლო ამ დროს დაფიქსირებული კურსები – სპოტ კურსად. ყველა სავალუტო ოპერაცია ნაღდი გაცვლით ითვლება სპოტ გარიგებად, ხოლო ბანკებს შორის მისი განხორციელების საფუძვლად გვევლინებიან საკო-რესპონდენტო ურთიერთობები. ბანკები სპოტ გარიგებებს იყენებენ ნოსტრო ანგარიშებზე უცხოური ვალუტის ნაშთების მინიმალური აუცილებელი ოდენობით შენარჩუნებისათვის, ახორციელებენ ერთი ჭარბი ვალუტის ნაშთის შემცი-რებას და მეორე „დეფიციტური“ ვალუტის ნაშთის გაზრდას.

2) რაც შეეხება ვადიან სავალუტო გარიგებებს, ამ ჯგუფში შედიან ის სავალუტო ოპერაციები, რომელთა მიხედვით ანგარიშსწორება ხდება არა მაშინვე ან ორი საბანკო დღის განმავლობაში, არამედ უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. რა უბიძგებს

გარიგების მხარეებს, დადონ გრძელვადიანი სავალუტო გარიგებები? საქმე ის არის, რომ მათი მეშვეობით კონტრაგენტები ახდენენ რისკების შემცირებას და ვალუტის კურსის მათთვის ნეგატიური ცვლილების დაზღვევას (ჰეჯირება), ასევე იგი კარგი საშუალებაა, მოგების მისაღებად სპეკულაციური ოპერაციების დროს. ასეთ გარიგების სახეობებად გვევლინებიან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, ე. წ. დერივატივები. ვადიანი სავალუტო გარიგებების ცნობილი „წარმომადგენლები“ არიან „სავალუტო ფორვარდები“, „სავალუტო ფიუჩერსები“ და „სავალუტო ოფციონები“.

დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

- სავალუტო ფორვარდი – ესაა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასი დგინდება წინასწარ, ხოლო უშუალოდ ოპერაცია ხორციელდება დათქმული ვადის შემდეგ კონტრაქტის დადების დროს შეთანხმებულ ფასად წარმოვიდგინოთ, რომ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით დაკავებული კომპანია ორ თვეში ელოდება ლარის შემოსავლებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეიძინოს აშშ დოლარი და გადაურიცხოს მომწოდებელს. თუკი კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დღევანდელი კურსი არის სასურველი ამ ოპერაციის ჩასატარებლად ან სურს თავი დაიზღვიოს მომავალში მისი ნეგატიური ცვლილებისაგან, იგი შეიძენს სავალუტო ფორვარდს, ანუ იყიდის ლარით აშშ დოლარს, ისე რომ კურსი შეთანხმდება გარიგების დადებისთანავე, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება 1 თვის შემდეგ, როცა კომპანია მიიღებს ლარებს. როგორც ვხვდებით, ამ დროს არ ხდება არც ლარის და არც აშშ დოლარის გადარიცხვა, უბრალოდ, კომპანიამ იყიდა კონტრაქტი ამ შესყიდვაზე შესაბამისი პირობებით.

სავალუტო ფორვარდების კონტრაქტების ვადა მეტად ცვალებადია და მერყეობს 3 დღიდან 5 წლამდე, თუმცა, ყველაზე გავრცელებულია 1-, 3-, 6-, 9- და 12-თვიანი კონტრაქტები. ფორვარდული კონტრაქტი საბანკო კონტრაქტია და, როგორც წესი, მისი რაიმე სტანდარტიზებული ფორმა არ არსებობს. ფორვარდული კურსის გაანგარიშების

საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე, ანუ სპოტ კურსი, რომელიც კორექტირდება პრემიით ან დისკონტით. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფორვარდული კურსი არის მომავალში სავალუ- ტო კურსის პროგნოზირება, ესაა მხოლოდ დაზღვევა მისი ნეგატიური ცვლი- ლებით მიღებული ზარალისაგან, ანუ სავალუტო კურსის ჰეჯირება. რა თქმა უნდა, ფორვარდული კონტრაქტები სპეკულაციური, ანუ დამატებით მოგების მიღების მიზნითაც გამოიყენება.

- სავალუტო ფიუჩერსი არის სტანდარტული კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს ერთი ვალუტის ყიდვას (გაყიდვას) მეორე ვალუტით გარკვეული პერიოდის შემდეგ კონტრაქტის დადების დროს არსებუ- ლი კურსით. სავალუტო ფიუჩერსი, როგორც მიხვდით, ძალიან ჰგავს სავალუტო ფორვარდს, შეიძლება ითქვას, მისი ნაირსახეობაცაა, თუმ- ცა, მათ შორის არის არსებითი განსხვავებები, მაგალითად:

- სავალუტო ფორვარდები მიმოიქცევა ბანკთაშორის ბაზარზე, ხოლო სავალუტო ფიუჩერსები _ საბირჟო ბაზარზე;

- ფორვარდული ბაზრის მონაწილეების წრე შეზღუდულია და მსხვილი კომპანიებითაა წარმოდგენილი, მაშინ, როცა სავალუტო ფიუჩერ- სულ ბაზარზე მონაწილეობა შეუძლიათ როგორც მსხვილ, ისე წვრილ ინვესტორებს, ფიზიკურ პირებსაც კი;

- სავალუტო ფორვარდების ვალუტების სპექტრი საკმაოდ ფართოა, მაშინ, როცა სავალუტო ფიუჩერსები მხოლოდ „ძირითადი“ ვალუტე- ბითაა წარმოდგენილი;

- სავალუტო ფორვარდები ინდივიდუალური კონტრაქტებია და მათი პირობები განისაზღვრება მხარეების მიერ, ხოლო სავალუტო ფი- უჩერსები სტანდარტიზებულია ვადების, მოცულობებისა და პირო- ბების მიხედვით;

- სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები, როგორც წესი, მთავრდე- ბა ვალუტის მიწოდებით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო სავალუტო ფიუჩერსების უმეტესობა მთავრდება ე. წ. „ოფსე- ტური“ (უკუ) გარიგებით, ანუ არ ხდება ვალუტის

რეალური მინოდება მხარეების მიერ, არამედ ისინი იღებენ სხვაობას, რომელიც მიღებულია გარიგების ფასსა და კონტრაქტის შესრულების დროს ფასებს შორის სხვაობით;

- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავალუტო ფორვარდები უფრო ძვირია, ვიდრე სავალუტო ფიუჩერსები. თუნდაც ამ შედარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სავალუტო ფიუჩერსები არის ბირჟაზე მიმოქცევადი სტანდარტიზებული კონტრაქტები. მათი თავისებურებაა ისიც, რომ ბანკები ამ შემთხვევაში გვევლინებიან არა გარიგებათა მხარეებად, არამედ მხოლოდ შუამავლებად კლიენტებსა და ბირჟის კლიენტებს შორის.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2013 წლის მარტიდან მის მიერ საერთაშორისო რეზერვების მართვის პროცესში ჩართო ახალი ინსტრუმენტი – ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობა.

• სავალუტო ოფციონი არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, კონტრაქტი, რომელიც მის მყიდველს აძლევს უფლებას, მაგრამ არ ავალდებულებს, შეასრულოს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია მომავალში, წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, შეთანხმებული მოცულობით და კურსით. ოფციონის გარიგების დროს ორი მხარე მონაწილეობს: ოფციონის გამყიდველი და ოფციონის მყიდველი, რომელიც, თავის მხრივ, იძენს ვალუტის გარკვეული პირობებით ყიდვის მხოლოდ უფლებას და არა ვალდებულებას. სავალუტო ოფციონი ჰგავს სავალუტო ფორვარდს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მისგან განსხვავებით, ოფციონის მყიდველი აღჭურვილია მხოლოდ კონტრაქტის პირობების შესრულების უფლებით და არა ვალდებულებით. ოფციონის მყიდველს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი: შეასრულოს კონტრაქტის პირობები, უარი თქვას მის შესრულებაზე ან გაყიდოს იგი მესამე პირზე კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე.

ოფციონის ვადა არის დროის ის ხანგრძლივობა, რომლის გასვლის შემდეგაც ოფციონის მყიდველი კარგავს უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას, ხოლო

გამყიდველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებებისაგან მყიდველის მიმართ. როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, იმის მიხედვით, გამონწერილია უცხოური ვალუტის ყიდვაზე თუ გაყიდვაზე, გვაქვს მათი ორი სახეობის ოფ-ციონი: ოფციონი გაყიდვაზე (put option) და ოფციონი ყიდვაზე (call option). შესრულების პრინციპის მიხედვით არსებობს ასევე ორი სახეობის ოფციონი:

ე.წ. „ამერიკული ოფციონი“ და „ევროპული ოფციონი“. პირველი მათგანი მყიდველს უფლებას აძლევს, საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინოს ოფციონის პერიოდის ნებისმიერ დღეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ მისი ვადის ბოლოს, ანუ კონკრეტული თარიღისათვის.

სავალუტო ოფციონები ძირითადად საბირჟო ინსტრუმენტებია. მათთვის ნიშანდობლივია, რომ, ერთი მხრივ, ოფციონის მყიდველისათვის ასეთი კომფორტული პირობების და, მეორე მხრივ, გამყიდველისათვის რისკის მაღალი ხარისხის გამო, ოფციონის მომსახურება ითვალისწინებს გარკვეული საფასურის გადახდას. ესაა ოფციონის პრემია, ანუ ოფციონის კონტრაქტის ფასი, რომელსაც მყიდველი იხდის მისი შეძენისას და რომელიც აღარ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, შესრულდება თუ არა კონტრაქტის პირობები. ოფციონის ფასზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ვალუტის მიმდინარე კურსი (სპოტი), ოფციონის ვადა, ბაზრის მიმდინარე ტენდენციები (მოთხოვნა-მიწოდება, საბანკო პროცენტები) და სხვ.

სვოპ ოპერაციები არის სავალუტო გარიგების სახეობა, რომლის დროსაც საქმე გვაქვს ორ ურთიერთსაპირსპირო საკონვერსიო ოპერაციასთან. პირველი მათგანი წარმოადგენს სპოტ, ხოლო მეორე – ვადიან სავალუტო გარიგებას. სვოპ გარიგებები მიეკუთვნებიან საბანკო ოპერაციათა რიგს. მათ ბანკები აქტიურად იყენებენ როგორც ბიზნესსაქმიანობით დაკავებულ კლიენტებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობისას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ კომპანია, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის აქვს 1

მლნ აშშ დოლარი ან- გარიშზე. ამავდროულად მას აქვს დასაფარავი მიმდინარე ვალდებულებები ლარში, რომლის რესურსები არ გააჩნია. ამასთან, ობიექტური მიზეზების გამო (შესაძლო ნეგატიური კურსთაშორისი სხვაობა), მას არ სურს ანგარიშზე არსე- ბული უცხოური ვალუტის ან მისი ნაწილის კონვერტირება, ვინაიდან რამდენ- ნიმე თვეში კვლავ დასჭირდება იგი სხვა უცხოურ ვალუტაში არსებული ვალ- დებულებების დასაფარავად. სვოპ ოპერაციის მეშვეობით კომპანიას შეუძლია არსებული უცხოური ვალუტით შეიძინოს ლარი, უფრო სწორად, გაცვალოს იგი ლარში, მომავალში კი წინასწარ განსაზღვრული კურსით დაიბრუნოს გაყი- დული უცხოური ვალუტა. სვოპ გარიგების დადება შესაძლებელია კომერციულ ბანკთან. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნა ვალუტების მიმართ, შეუძლიათ აგრეთვე სვოპ ოპერაციების განხორციელება ერთმანეთში.

საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელება პოვა სვოპ ოპერაციებმა ბანკთაშორის ბაზარზე, როგორც ერთმანეთს შორის, ისე ეროვნულ ბანკთან. აღნიშნულ ოპერაციებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის (შემდეგ 2009 წელს შეცვლილი) დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შიდა ბაზარზე სავალუტო სვოპ ოპერაციების განხორციელების შესახებ“. როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „სვოპ ოპერაცია წარმოადგენს ფულად- საკრედიტო პოლიტიკის ინ- სტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი წინასწარ განსაზღვრული ვადით, აუქციონის წესით ყიდულობს უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვადიანი სავალუტო ოპერაციები ამცირებენ იმ კომპანიების სავალუტო რისკს, რომელთაც აქვთ საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეუსაბამობა ვალუტაში. ასეთ კომპანიებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოეჭმნებათ გაცვლითი კურ- სის რისკი, ანუ სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განსაკუთრებულად ზემო- ქმედებს

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე. ვინ არის განსა- კუთრებით დაქვემდებარებულები სავალუტო რისკებზე?

- ექსპორტიორები – ადგილობრივ ბაზარზე საქონლის შექმნა-წარმოე- ბის ხარჯებს გასწევენ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ამონაგებს იღებენ უცხოური ვალუტით. ბუნებრივია, ექსპორტიორებისათვის ეროვნული ვალუტის გამყარება ნიშნავს პოტენციურად მეტ ზარალს, რადგან ის ნაკლებ ლარს მიიღებს ექსპორტირებული საქონლის სანაცვლოდ და, პირიქით, ეროვნული ვალუტის გაუფასურება – პოტენციურად მეტ შემოსავალს, ვინაიდან ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა უფრო მეტი ლარი იქნება, ვიდრე მან დახარჯა.

- იმპორტიორები – ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულებას იხ- დიან უცხოური ვალუტით, ხოლო ამონაგებს იღებენ ეროვნული ვალუ- ტით. გასაგებია, რომ განსხვავებით ექსპორტიორებისაგან, იმპორტი- ორისათვის ზარალიანია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ვინაიდან ის ნაკლებ ლარს მიიღებს, ვიდრე ელოდა, ანუ მას მეტი ლარის გადახდა მოუწევს უცხოურ ვალუტაში აღებული ვალდებულების დასაფარავად. პირიქით, უცხოური ვალუტის გამყარება იპორტიორისათვის დამატები- თი შემოსავლის მომტანია, ვინაიდან მას უწევს ნაკლები ლარის გადახდა იმ უცხოური ვალუტის შესაძენად, რომელიც საჭიროა აღებული ვალ- დებულებების დასაფარავად.

- ფიზიკური პირები და ის ორგანიზაციები, რომელთაც შემოსავლე- ბი აქვთ ეროვნულ (უცხოურ) ვალუტაში და ხარჯები – უცხოურ (ეროვნულ) ვალუტაში. მაგალითად, ფიზიკური პირისათვის, რომელსაც შემოსავალი აქვს ლარში, ხოლო აღებული კრედიტი – უცხოურ ვალუ- ტაში, ეროვნული ვალუტის გამყარება დამატებითი შემოსავლის მომ- ტანია (ნაკლები ლარი სჭირდება საჭირო ოდენობით ვალუტის ყიდვას) და, პირიქით – ეროვნული ვალუტის გაუფასურება დამატებითი ხარჯია (მეტი ლარი სჭირდება საჭირო ოდენობით ვალუტის ყიდვას).

• კომერციული ბანკები, როგორც ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა ქსელში თავმოყრილია საზოგადოების თავისუფალი ფულადი სახსრები და მათი უმრავლესობა ქართულ რეალობაში უცხოურ ვალუტაშია ნომი- ნირებული, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ნეგატიურმა ცვლი- ლებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომერციული ბანკების მო- გებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.⁷

4. სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკის მინიმიზაციის მიზნით გამოიყენება ჰეჯირების სხვა- დასხვა ინსტრუმენტი. სავალუტო რისკის ჰეჯირების ძირითადი მიზანია, თავი- დან იქნეს აცილებული გაცვლითი კურსის რყევებისგან გამონწვეული გაურკვევ- ლობა. სავალუტო რისკის ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა „ბუნებრივი ჰეჯირება“, ანუ ბიზნესპროცესების ისეთი დაგეგმვა და წარმართვა, რომ კომ- პანიის ფულადი ნაკადების მოცულობა (შემოსავლები და ხარჯები) ვალუტების მიხედვით სრულად ან მაქსიმალურად სრულად

⁷ ი.კოფხანაძე, გ.კონტრიძე, „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ 441-445გვ

შესაბამებოდეს ერთმანეთს და ამგვარად – აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი სავალუტო რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო რისკების თავიდან ასაცილებლად კომერციული ბანკები იყენებენ ჰეჯირების ინსტრუმენტებს, მათ შორის განხილულ სავალუტო წარმოებულებს (დერივატივებს), იგი უაღრესად აქტუალურ საკითხად რჩება. სავალუტო რისკების თავიდან აცილებისა და მათი უარყოფითი გავლენის მინიმიზაციის მიზნით საქართველოს კომერციულ ბანკებში მოქმედებს მსოფლიოში ცნობილი აპრობირებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი“ დოკუმენტის თანახმად, სავალუტო პოზიცია არის სხვაობა ბანკის უცხოური ვალუტით ფორმირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. მაგალითად, თუ კომერციულ ბანკს მოზიდული აქვს 50 მლნ აშშ დოლარის დეპოზიტები და სხვა ვალდებულები, ხოლო აქტივში განთავსებულია 55 ან 47 მლნ აშშ დოლარი, შესაბამისად, სავალუტო პოზიცია იქნება 5 (55-50) ან -3 (47-50) მლნ აშშ დოლარი. რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ აქტივშიც 50 მლნ აშშ დოლარის უცხოური ვალუტა ჰქონდეს, მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე, იგი დროებით ყიდის „სხვისი“ უცხოური ვალუტის ნაწილს ან პირიქით, „სხვისი“ ლარით ყიდულობს დამატებით უცხოურ ვალუტას.

სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებში ჩაითვლება როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე აქტივები და ვალდებულებები. ორივე ერთად იწოდება კრებსით სავალუტო პოზიციად. ბალანსგარეშე აქტივებსა და ვალდებულებებში შედის სავალუტო კონტრაქტები უცხოური ვალუტის ყიდვასა და გაყიდვაზე – სპოტური, ფიუჩერული, ფორვარდული და სვოპური კონტრაქტებით ნაკისრი ვალდებულებები და ოფციონებით გათვალისწინებული უფლება-

ვალდებულებები თანხობრივი მოცულობებით. სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს დახურული ან ღია:

- სავალუტო პოზიცია არის დახურული, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლია, როგორც ჩვენს მაგალითში 50-50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულებებსა და აქტივში;

- სავალუტო პოზიცია არის ღია, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები არ ემთხვევა ერთმანეთს და ამ დროს გვაქვს ორი შემთხვევა:

- გრძელი ღია სავალუტო პოზიცია – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულე-ბებზე, როგორც ჩვენს მაგალითში 50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულე-ბებში და 55 მლნ აშშ დოლარი – აქტივში, ანუ ბანკს 5 (55-50) მლნ აშშ დოლარით მეტი აქტივი აქვს, ვიდრე ვალდებულება;

- მოკლე ღია სავალუტო პოზიცია – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულე-ბებზე, როგორც ჩვენს მაგალითში 50 მლნ აშშ დოლარი ვალდებულე-ბებში და 47 მლნ აშშ დოლარი – აქტივში, ანუ ბანკს 3 (47-50) მლნ აშშ დოლარით ნაკლები აქტივი აქვს, ვიდრე ვალდებულება. ნიშანდობლივია, რომ სავალუტო პოზიციის გაანგარიშება ხდება როგორც ზემოაღნიშნული წესით თითოეული ვალუტის მიხედვით ცალ-ცალკე, ისე საერთო ღია სავალუტო პოზიციის მიხედვითაც.

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი. ზემოაღნიშნული მაგალითის მსგავსად ხდება გრძელი და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების გაანგარიშება თითოეული ვალუტის მიხედვით (მაგალითად: ევრო, ფუნტი სტერლინგი და რუსული რუბლი). ამის შემდეგ ხდება ცალკე

გრძელი ღია და ცალკე მოკლე ღია სავალუტო-ტო პოზიციების დაჯამება ოთხივე ვალუტის მიხედვით და მათ შორის უდიდესი ჩაითვლება საერთო ღია სავალუტო პოზიციად. ბუნებრივია, საერთო ღია სავალუტო პოზიცია იქნება ან დადებითი, ან უარყოფითი.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მიერ განეული რისკიანი სავალუტო ოპერაციების შემდგომი მიზნით ადგენს სწორედ ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს. ლიმიტები დგინდება შემდეგი მიმართულებებით:

- თითოეული უცხოური ვალუტის როგორც საბალანსო, ისე კრედიტით სავალუტო პოზიციების მიხედვით – საზღვარსაღწევლო კაპიტალის 20%-ის ოდენობით;
 - ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია როგორც საბალანსო, ისე კრედიტით სავალუტო პოზიციების მიხედვით – საზღვარსაღწევლო კაპიტალის 20%-ის ოდენობით.
- კომერციული ბანკის საზღვარსაღწევლო კაპიტალი გაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. ღია სავალუტო პოზიციებზე დადგენილი ლიმიტების დაცვის მიზნით კომერციულ ბანკებს ევალებათ ყოველდღიურად გაიანგარიშონ საბალანსო, ბალანსგარეშე და კრედიტით საერთო ღია სავალუტო პოზიციები და უზრუნველყონ დღის განმავლობაში დადგენილი ლიმიტების შენარჩუნება. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საოპერაციო დღის ბოლომდე მის აღსადგენად განახორციელოს დამაბალანსებელი სავალუტო ოპერაციები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია, რომ თითოეული კომერციული ბანკის მენეჯმენტმა უზრუნველყოს სავალუტო რისკის რეგულირება და მართვა ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა:

- სავალუტო რისკების კონტროლის, სავალუტო პოლიტიკის, ლიმიტებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა;

- სავალუტო ბაზრის ცვლილებებზე მენეჯმენტის ოპერატიული რე- აგირების სისტემისა და ჰეჯირების სტრატეგიის შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებათა და პასუხისმგებლობათა გამიჯვნა სავა- ლუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით გადანყვეტილებების მიღებისას;
- შესრულებულ გარიგებათა დროული დოკუმენტური ასახვა ბუღალტრულდავთრებში და სავალუტო კონტრაქტების ანალიზი;
- თითოეული ფილიალისათვის ცალკეული უცხოური ვალუტის მიხედვით ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენა და კონტროლი;
- შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომ- პლექტება, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან სავალუტო ოპერა- ციების წარმოების სათანადო წესებით, მათი უფლება-მოვალეობებით, საქმიანობის მიმართულებებითა და ანგარიშგების სახეობებით;
- სავალუტო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული შიდა კონ- ტროლის წესებისა და ინსტრუქციების შემუშავება, რომლებიც უნდა მოიცავდეს უფლება- მოვალეობების გამიჯვნას სავალუტო ოპერა- ციების მწარმოებლებსა და საბუღალტრო აპარატს შორის;
- მთელი ამ პროცესის პერიოდული შემოწმება შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

გარდა ამისა, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან იქონიონ სავალუ- ტო რისკის მართვის ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება მონიტორინგი როგორც გაცვლითი კურსის განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებაზე, ისე, პერიოდულად და ბანკის ფინანსური მონა- ცემების სტრესტესტირება ბანკის მოგება-ზარალზე, კაპიტალსა და ლიკვიდო- ბაზე სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენის დადგენის მიზნით.

კომერციული ბანკები ყოველდღიურად აწარმოებენ საერთო ღია სავალუ- ტო პოზიციის გაანგარიშებას თითოეული უცხოური ვალუტის ჭრილში საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური ანგარიშგების სპეციალური ფორმის შესაბამისად და უგზავნიან მას ეროვნულ ბანკს. არსებობს ყოველთვიური, კონ- სოლიდირებული ანგარიშგების ფორმაც.

კომერციულ ბანკებში სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიც- ხვა ხორციელდება „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალ- ტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის“ შესაბამისად, ხოლო უშუალოდ სავალუტო ოპერაციების აღ- რიცხვა წარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის მიმართ დაფიქსირებული გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით. ანგარიშთა გეგმაში ჩადებულია პრინციპი, რომ ყველა აქტიური და პასი- ური ოპერაცია დაფიქსირდეს ცალ-ცალკე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

ბანკების საოპერაციო დღის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლე- ვა მიღებულ იქნეს ბალანსი ყველა ცალკეული ვალუტის ჭრილში როგორც ნომინალით, ისე ლარში ეკვივალენტით, რომელიც მიღებულია იმ დღის ოფი- ციალური კურსით. სალარე ბალანსისა და უცხოური ვალუტების ბალანსების (ეკვივალენტით) კონსოლიდაციით მიიღება ნაერთი ბალანსი. ყოველ მომდევ- ნო საბანკო დღეს ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად სავალუტო ან- გარიშებზე ნაშთები ეკვივალენტში იქნება მეტი ან ნაკლები, იმის მიხედვით, კურსი გაიზარდა თუ შემცირდა.

ამ ცვლილებების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ორ სა- ბალანსო ანგარიშს: 2601 (სავალუტო პოზიციის კონტრფასი) და 2611 (სავალუ- ტო პოზიცია). ესენია ანგარიშები, რომელთა ნაშთი ყოველთვის ერთმანეთის ტოლია და მათი საშუალებით ხდება სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარ- მოქმნილი სავალუტო

პოზიციის ნაშთების აღრიცხვა. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს, მათი აღრიცხვისათვის გამოიყენება ოთხი ანგარიში:

- 6604. შემოსავლები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერა-ციების მიხედვით – გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვი-დან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად;
- 8604. ხარჯები უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით – გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული ზარალის აღსარიცხავად;
- 6621. შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან – გამოიყენება სავალუტო პოზიციის გადაფასებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისათვის;
- 8621. ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან – გამოიყენება სავალუტო პოზიციის გადაფასებიდან მიღებული ზარალის ასახვისათვის.

სავალუტო კურსთა ხშირი ცვლილება არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს საზოგადოებაში. ზოგს არ სურს დამოკიდებული იყოს ვალუტის კურსის რყევაზე და ამიტომ თავის აქტივებს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში ინახავს. სხვები ამჯობინებენ თავიანთი აქტივები შეინახონ იმ ქვეყნის ვალუტაში, რომლის საქონლისა და მომსახურების შეძენასაც აპირებს მოგვიანებით. სავალუტო რისკის დაზღვევას ჰეჯირება ეწოდება, ხოლო დამზღვევს კი – ჰეჯერი. შესაბამისად სავალუტო ბაზრის მონაწილეები იყოფიან ჰეჯერებად და სპეკულიანტებად. თუმცა ერთიდაიგივე პირი ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიდეს, როგორც ჰეჯერი, მეორე შემთხვევაში კი – როგორც სპეკულიანტი. ვალუტის დაზღვევა, წარმოადგენს ისეთ სავალუტო ოპერაციას, რომელიც მიმართულია იქნეთ, რომ არ დაუშვას მოცემული ვალუტის სახით, არც წმინდა აქტივები და არც წმინდა პასივები. საერთაშორისო გარიგებებით დაზღვეულნი არიან ის ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ეროვნული ვალუტა და ცდილობენ უცხოური ვალუტის შეძენა. მაგალითად, ქართველი, რომელმაც დააზღვია მისი პოზიცია ამერიკული დოლარის მიმართ,

დარწმუნებულია იმაში, რომ ლარსა და დოლარს შორის სავალუტო კურსის ნებისმიერი სამომავლო ცვლილება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას თავის კაპიტალზე. დაზღვევა წარმოადგენს საჭირო სავალუტო ოპერა-ციას, მათთვისაც ვისთვის საერთაშორისო საფინანსო ოპერაციებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ისინი ცდილობენ თავი დააღწიონ ვალდებულებებს უცხოურ ვალუტაში და ამით აიცილონ საერთაშორისო სავალუტო ბაზრების სწრაფად ცვალებადი პირობებით გამონვეული უსიამოვნებანი. სავალუტო ბაზარი ეხმარება დაზღვევის მსურველებს გათავისუფლდნენ იმ ვალუტის წმინდა აქტივებისა და პასივებისაგან, რომლის ფლობაც მათთვის არახელსაყრელია. ვთქვათ ერთ-ერთმა ქართულმა როკ-ჯგუფმა ამერიკაში გამოიმუშავა 100 ათასი აშშ. დოლარი, თავიანთი ჩანანერების ამერიკაში გაყიდვის გზით. ჯგუფს სურს აღნიშნული თანხა ნაღდ ანგარიშზე ლარებში გააჩნდეს 3 თვის შემდეგ. მაგრამ დროის ამ ინტერვალის განმავლობაში ჯგუფს მოუხდება სავალუტო რისკის განწევა. დოლარის ღირებულება, რომელიც მოცემული მომენტისათვის შეადგენს 1, 65 ლარს, მომდევნო 3 თვის განმავლობაში შეიძლება დაეცეს, ან გაიზარდოს. ეს კი შეცვლის 100 ათასი აშშ. დოლარის ღირებულებას ლარებში. ჯგუფს კი არ სურს ამ რისკის განწევა: მას სურს დააზღვიოს აქტივი ლარებში (100 ათასი X 1,65). მაშინ ჯგუფს შეუძლია თავისი 100 ათ. აშშ. დოლარი `გააპროცენტოს` რომელიმე ქართულ ბანკში. სავალუტო ბაზარი მოიცავს სხვა სახის სადაზღვევო მომსახურებასაც. მაგალითად ამერიკელს, რომელსაც სურს 165 ათასი ლარი გადაიხადოს 3 თვის შემდეგ, შეუძლია არ დაელოდოს ლარის შეძენის ამ ვადას და დააზღვიოს თავისი კაპიტალი ქართულ დავალიანებასთან მიმართებაში. ამისათვის საჭიროა მან შეიძინოს ლარი ახლა (მიმდინარე პერიოდში), რათა ვალი გადაიხადოს 3 თვის შემდეგ. ასეთივე ვითარებაში აღმოჩნდება ვილაც ქართველი და გასცემს ლარს დოლარზე გაცვლის მიზნით, მიმდინარე სავალუტო კურსის მიხედვით, რათა თავი დაიზღვიოს დოლარებში ლარის სამომავლო ღირებულების განუსაზღვრელობისაგან. ამერიკელ რეზიდენტს, რომელსაც ვალი

გააჩნია ლარებში, შეუძლია ადრინად შეიძინოს იგი დოლარებით, იმისათვის, რომ ზუსტად იცოდეს, თუ რამდენი დოლარი დასჭირდება მას აღნიშნული ვალის დასაფარავად, ამრიგად, სავალუტო ბაზარი, რომელიც წინასწარ საზღვრავს სავალუტო კურსთა მოსალოდნელ ცვლილებას, იძლევა სავალუტო კურსის მომავალი რყევისაგან დაზღვევის საუკეთესო შესაძლებლობას.

დასკვნა

სავალუტო გაცვლითი კურსის პროგნოზირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური სტაბილურობის ასპექტში, ვინაიდან სავალუტო კურსი და მთლიანად მონეტარული პოლიტიკა უზარმაზარ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სიტუნსაღებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო არაერთხელ დამდგარა დიდი ეკონომიკური პრობლემის წინაშე, რაც რიგ შემთხვევებში არასწორად განხორციელებული მონეტარული პოლიტიკითა და კურსის არასტაბილურობით იყო გამონწვეული. გაცვლითი კურსის არასტაბილურობა დღესაც

უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე და ამცირებს მის ზრდას. საქართველოც იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საფონდო საქმიანობა განვითარების პროცესშია, ხოლო სავალუტო ბირჟა საერთოდ არ არსებობს ის შეცვალა სავალუტო აუქციონმა. შესაბამისად, რომ არა ელექტრონული სავალუტო ბაზარი, რომელიც საქართველოში არსებულ ეკონომიკურ სუბიექტებს დააკავშირებდა უცხოურ ბაზრებთან, საქართველოში არსებულ ეკონომიკურ სუბიექტებს მცირე შანსი ექნებოდათ საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობაში ჩართულიყვნენ. ელექტრონული სავალუტო ბაზრის მეშვეობით კორპორაციებსა და საქართველოს მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, მუდმივად იყვნენ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესების საქმის კურსში, ჰქონდეთ გაცვლით კურსებთან და ინფორმაციასთან მუდმივი თანამედროვე მსოფლიოში არსებული ციფრული-კრიპტოვალუტები ვერ ასრულებენ ფულის ყველა ფუნქციას და არ არიან ოფიციალურად აღიარებულნი გადახდის ლეგიტიმურ საშუალებად. სავალუტო კურსის პროგნოზირებისას მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების ანალიზი და მათი გათვალისწინება, უმნიშვნელოვანესია საშუალო და რგძელადიანი პროგნოზების გაკეთებისას, ვერცერთი გრძელვადიანი პროგნოზი ვერ ჩაითვლება სრულყოფილად თუ მასში უგულველყოფილია მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი. დღესდღეობით არ არსებობს გაცვლითი კურსის პროგნოზირების მეთოდი, რომელიც დანამდვილებით ასახავს კურსის სამომავლო მდგომარეობას, ნებისმიერი მეთოდის მთავარი დანიშნულებაა გვიჩვენოს კურსის მოსალოდნელი მიახლოებითი სამომავლო მნიშვნელობა, მეთოდის ხარისხი კი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ზუსტია მისი გამოყენებით გაკეთებული პროგნოზი არსებულ რეალობასთან და რა სიხშირით ამართლებს კონკრეტული მეთოდით გაკეთებული პროგნოზები. დღესდღეობით ძალზე პოპულარული და ფართოდ გამოყენებადია გაცვლითი კურსის პროგნოზირების ტექნიკური ანალიზის მეთოდები,

რომლებიც საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევიან მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში, განსაკუთრებით მოკლევადიანი პროგნოზების გაკეთებისას. ტექნიკური ანალიზის ჩატარება უფრო ადვილია და ნაკლებ პრაქტიკასა და სწავლას მოითხოვს, ვიდრე ფუნდამენტალური ანალიზი, რომელსაც, თავის მხრივ, ეკონომიკის მთლიანი დისციპლინის მაღალ დონეზე შესწავლა ესაჭიროება. ტექნიკური ანალიზის პოპულარობას ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებიც, რომლებიც უფრო აადვილებენ მათემატიკური მოდელების გამოთვლას და პრაქტიკულად ყველა ოპერაციას თავად აკეთებენ, ანალიტიკოსს კი მოეთხოვება გრაფიკზე გამოსახული გამოთვლითი შედეგის სწორად აღქმა და სავალუტო ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე სწორი დასკვნების გამოტანა. მიუხედავად ტექნიკური ანალიზის პოპულარობისა, სავალუტო გაცვლითი კურსის ფუნდამენტალური ანალიზის მეთოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროგნოზების გაკეთებისას. ვერც ერთი საშუალო თუ გრძელვადიანი პროგნოზი ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ მასში უგულვებელყოფილია მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი. პროფესიონალურ დონეზე შესრულებული გაცვლითი კურსის პროგნოზირება მოითხოვს ტექნიკური და ფუნდამენტალური ანალიზის სხვადასხვა მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას. კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს თითოეულ მეთოდში არსებული ხარვეზების მაქსიმალურად განეიტრალებასა და მცდარი ინფორმაციის იდენტიფიცირებას, რაც ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგობია. მ. საბანკო საქმე; ლექციების კურსი თბ. 2007წ
2. კაკულია რ. ბახტაძე. კანდელაშვილი. საბანკო საქმე თბ. 2010წ
3. კოვზანაძე, კონტრიძე. თანამედროვე საბანკო საქმე თბ. 2014

- 4.ნარმანია დ. “საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ
- 5.პერიოდში”, “ეკონომიკა და ბიზნესი”
- 6.ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. თბ.2010
- 7.შონია ნ. ქიქოძე ნ. საერთაშორისო სავალუტო ბაზარი “FOREX”
- 8.L.S. Copeland, Exchange Rates and International Finance, 2000. p. 67-70.
- 9.www.sabanko.com
- 10.<http://www.nplg.gov.ge>